

საბჭოთა საინჟინერო-საპროექტო



12 აპრილი
ხუთშაბათი
N11 (2056)
2007 წელი

ბაზეთი ბაზოლის
თემატიკა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან ფასი 30 თეთრი

აღდგომა მუსროვანის ბაზაზე



8 აპრილს მუსროვანის ბაზაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 600-მდე სტუდენტს, რომლებიც 31 მარტს სარეზერვო სამსახურში გაიწვიეს, უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გულნაზი გალდავამ, სენატის სპიკერმა კახაბერ ლორიამ და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებმა აღდგომა მიულოცეს და პასუხი და ნათელი კვრცხები დაურიგეს.

გ-4 გვირგვინი

მოსკოვმა დაიხია უკან თუ შეპარდნაქემ?

14 აპრილი ქართული ენის დღეა

1978 წლის 14 აპრილი კომუნისტურ ეპოქაში საქართველოს რევოლუციური სულის პირველი გამარჯვების პრეცედენტი. მისი მონაპოვარი საკუთარი სახელმწიფო ენის შენარჩუნება გახდა. ამ დღეს სტუდენტმა ახალგაზრდობამ აჩვენა, რომ საქართველოს ყველა ეპოქაში აქვს ძალა, დაიცვას საკუთარი ღირსება და აღიდგინოს წარმოუშლელი ფასეულობები. სწორედ ამიტომ, 14 აპრილი იქცა იმ თარიღად, რომლის მნიშვნელობის დეკლარაცია არანაირ ეპოქაში არ მოხდება. დამთრგუნველი კომუნისტური რეჟიმის დუმილის გარღვევიდან 39 წლისთავზე, საქართველოში 14 აპრილს – „დედა ენის“ დღეს, საზოგადოების ყველა თაობა ერთნაირი ხალისით და სხვადასხვა შემართებით აღნიშნავს. ამ თარიღთან დაკავშირებით, დეტალების შესწავლა ვთხოვეთ მაშინდელი სტუდენტური მოძრაობისა და 14 აპრილის მანიფესტაციის ერთერთ ორგანიზატორს, ამჟამად, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე ნოდარ ბრიგადაშვილს:

სათუნა სატიანაშვილი

– 1978 წლის 14 აპრილი არ დაწყებულა და არ შემდგარა ზუსტად ამ დღეს. ეს თარიღი იყო დამაგვირგინებელი დღე იმ სტუდენტური მოძრაობისა, რომელიც უფრო ადრე დაიწყო და, საბედნიეროდ, 14 აპრილს ქართველი ხალხის გამარჯვებით დასრულდა.

– საინტერესოა, რა ხდებოდა მაშინდელ საქართველოს სახელმწიფო ენის გაუქმების შესახებ განწყობილება საზოგადოებრივი მღელვარების დაწყებამდე გაცილებით ადრე გახდა ცნობილი?

– მარტის თვეში მაშინდელი კომპარტიის მთავარ განუთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა 1936 წელს მიღებული საბჭოთა საქართველოს კონსტიტუციის

ტექსტი და კრემლის ახალი გადაწყვეტილება, ამ კონსტიტუციის 75-ე მუხლის შეცვლის შესახებ, რის საფუძველზეც უქმდებოდა საქართველოს სახელმწიფო ენა. ახალი მუხლის მიხედვით, კონსტიტუციაში უნდა ჩანერდიყო, რომ საბჭოთა რესპუბლიკებში სახელმწიფო ენა ხდებოდა რუსული, ხოლო სახელმწიფო ქართული ენის ხმარებას უზრუნველყოფდა მხოლოდ წარმოება-დაწესებულებებში. ქართული ენისთვის სახელმწიფო სტატუსის წარმოების პარალელურად, საბჭოთა ხელმძღვანელობა „აღდსულოვან პირობას“ იძლეოდა, რომ საქართველოში ქართულ ენაზე საუბრის შემთხვევაში არავინ დაისჯებოდა. ამით, ფაქტობრივად, წერტილი ესმებოდა მე-19 საუკუნეში დაწყებულ შავრამულ პოლიტიკას, რომელიც ქართული ენის ოფიციალურად განდევნას ითვალისწინებდა.

გაგვიკვირდება, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ „კომუნისტში“ ცვლილების ტექსტის გამოქვეყნებიდან, რასაც წესით საზოგადოება ყალფე უნდა დაეყენებინა, რამდენიმე დღემ ისე ჩაიარა, რომ საპროტესტო ნოტა არავის დასცდენია.

– ამის მიზეზი, შესაძლოა, კომუნისტური რეჟიმისთვის დამახასიათებელი შიშის სინდრომი ყოფილიყო. წინააღმდეგ შემთხვევაში, საფიქრებელია, რომ საზოგადოება არ კითხულობდა „კომუნისტს“, რომელიც იმ დროისთვის წამყვანი გაზეთი იყო საბჭოთა საქართველოში.

– გაზეთ „კომუნისტს“ კითხულობდნენ, მაგრამ არ კითხულობდნენ კონსტიტუციას. „კომუნისტისა“ და კიდევ რამდენიმე გაზეთის გარდა, რომელთა გამოწერა-წაკითხვა სავალდებულო იყო, ალტერნატივა არ არსებობდა, მაგრამ პოლიტიკურ ტექსტებს მაშინ დიდად არავინ ეტანებოდა.

– ყოველ შემთხვევაში, ქართული ენის გადარჩენა პირდაპირ კავშირშია მაშინდელ ახალგაზრდა თაობასა და განსაკუთრებით უნივერსიტეტის სტუდენტობასთან, რომლის ძალისხმევითაც საბჭოთა ხელმძღვანელობამ უპრეცედენტო ლიბალიზმა გამოიჩინა. საინტერესოა, ვინ აღმოაჩინა, გაახმაურა და სტუდენტებამდე მოიტანა ეს ცვლილება?

გ-3 გვირგვინი

ანონსი
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმიდისა და უნეტარისი ილია II-ის სააღდგომო აპისტოლა

1A-7-8 AA.
სრუ დისარტან-ტაბი უნდა დაისაჯონ

ინტერვიუ გერმანიაში მოღვაწე ქართველ მეცნიერთან ბეჟან ქანკვეტაძესთან

1A-6, 9 AA.
პერსიები ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ

1A-3 AA.
ჩვენ არ გვინდა რევოლუცია, მკაფრი აქცენტები კი უნდა დავსვათ

1A-11 AA.
რას წერენ ვალვა ნუსუბიქა და მისი თანამებრძოლები უკრაინაში „ქართველი სტუდენტები“?



ინტერვიუ თამარ ნუსუბიქესთან

1A-9 AA.

ნატოს კარი ღიაა საქართველოსთვის



2007 წლის 4 აპრილს ნატოს და-
არსების 58 წლის აღსანიშნავად მოძ-
რობა „საქართველოს პატრიოტთა ერ-
თობა“ ივანე ჯავახიშვილის სახელო-
ბის თბილისის სახელმწიფო უნივერსი-
ტეტში მხარდასაჭერი ღონისძიება მო-
ახყო. აქვე გაიმართა მოძრაობის ყოველ-
თვიური ჟურნალის – „ნატო+“-სა და
ვებ-გვერდის www.ugp.ge-ს პრეზენ-
ტაცია.

ღონისძიება მიეძღვნა ისეთ მნიშ-
ველოვან თემებს, როგორცაა ნატო-
საქართველოს ურთიერთობის განვი-
თარება, ჩრდილოატლანტიკური ხელ-
შეკრულების ორგანიზაციაში განვი-
თარების პრიორიტეტები, სტუდენტებისა
და, ზოგადად, ახალგაზრდობის რო-
ლი ინტეგრაციის პროცესში.

ორგანიზაცია „საქართველოს პატ-
რიოტთა ერთობა“ სხვადასხვა უმაღ-
ლეს სახანაველებს და ახალგაზრდულ
კავშირებს სთავაზობს ურთიერთთანამ-
შრომლობის საფუძველზე შეიქმნა მე-
მორანდუმი, სადაც დაფიქსირდება ნა-
ტოში განვირინების დაქარების ერ-
თსულუოვანი მხარდაჭერა.

ჩრდილოატლანტიკური ხელშეკრუ-
ლების ორგანიზაცია (ნატო) 1949 წლის
4 აპრილს 10 ევროპული და 2 ჩრდი-
ლოამერიკული ქვეყნის მიერ დაფუძ-
ნდა. დამფუძნებელი ქვეყნების მთავარი
მიზანი იყო, წინ აღდგომოდნენ საბ-
ჭოთა კავშირის გავლენის გავრცელ-
ვას.

ბას ევროპის კონტინენტზე. ხელშე-
რულების ხელმოწერით წევრებმა ვალ-
დებულება აიღეს, დაეცვათ საკუთარი
თავისუფლება და უსაფრთხოება ერ-
თობლივად, როგორც პოლიტიკური, ისე
სამხედრო საშუალებებით.

ნატოს ძირითადი პრინციპების თა-
ნახმად: ალიანსი იცავს წევრი ქვეყნების
უსაფრთხოებას და თავისუფლებას, იგი
არის დემოკრატიის, პირადი თავისუფ-
ლებისა და კანონის უზენაესობის დამ-
ცველი, მის ძირითად სამოქმედო პრინ-
ციპს წარმოადგენს კოლექტიური თავ-
დაცვა, რომლის მიხედვითაც შეიარა-
ღებული თავდასხმა ალიანსის თუნდაც
ერთ წევრ სახელმწიფოზე განხილბა,
როგორც თავდასხმა ყველა მოკავში-
რეზე.

ნატო არის სამთავრობოთამორო-
სი ორგანიზაცია, რომლის შიგნითაც
წევრი ქვეყნები ინარჩუნებენ საკუთარ
სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლ-
ობას. ალიანსი რჩება ღია და ახალი წე-
ვრებისათვის. ეს უნდა იყვნენ ქვეყნები,
რომლებსაც აქვთ ნება და სურვილი,
წვლილი შეიტანონ ევროატლანტიკურ
არიელის უსაფრთხოებაში, რომ-
ლებიც იზიარებენ ევროატლანტიკურ ფა-
სულულებს და რომელთა მიღებასაც
წევრი სახელმწიფოები ერთხმად უჭე-
რენ მხარს.

თსუ-ს საზოგადოებასთან
ურთიერთობის სამსახური

ეპროკავშირი და ქართული მეცნიერება

ალექსანდრე დიდებულიძე: „ჩვენი მიზანია, საქართველო გახდეს ცოდნის ექსპორტიორი ქვეყანა“

ირმა რუსაძე

2007 წლის 28-30 მარტს ივანე ჯავა-
ხიშვილის სახელობის თბილისის სახელ-
მწიფო უნივერსიტეტში გაიმართა სემინა-
რი, რომელიც სამხრეთ კავკასიის და
ევროკავშირის ქვეყნებს შორის სამეცნი-
ერო თანამშრომლობის სამომავლო გეგ-
მებს მიეძღვნა. სემინარზე ქართულ მხა-
რეს წარმოადგენდნენ განათლებისა და
მეცნიერების სამინისტროს, ივანე ჯავა-
ხიშვილის სახელობის თბილისის სახელ-
მწიფო უნივერსიტეტისა და კონკურსში
გამარჯვებული რამდენიმე სამეცნიერო-
კვლევითი ინსტიტუტის წარმომადგენლები.

სამხრეთ-კავკასიის ქვეყნების უმაღ-
ლესი სკოლების ამბიცია – ჩამოყალიბდნენ
სამეცნიერო-კვლევითი უნივერსიტეტებად,
კარგად გამოჩნდა იმ პროექტებში, რომ-
ლებიც 2005 წელს ევროკავშირისა და
INTAS-ის ხელშეწყობითა და დაფინან-
სებით განხორციელდა.

17 გამარჯვებულ პროექტიდან 12
პროექტში 60 ქართველი მეცნიერი მო-
წოდებულია. ხოლო სამი გამარჯვებუ-
ლი პროექტი თსუ-დან იყო. სამუშაო
პროექტში გადაწყდა, რომ სამხრეთკავ-
კასიის ქვეყნებში ჩატარებულიყო ერ-
თობლივი კონფერენცია, გამოყოფილიყო თან-
ხები სამეცნიერო კვლევების განსაზო-
რებლად. რაც ყველაზე მნიშვნელო-
ვანია, კონფერენცია უნდა ჩატარებულიყო
მეცნიერების იმ მიმართულებებზე, რა-
საც მონაწილე მხარეები (საქართველო,
სომხეთი, აზერბაიჯანი) ჩათვლიდნენ პრი-
ორიტეტულად და საერთო პრობლე-
მად. შესაბამისად, შეირჩა რამდენიმე
მნიშვნელოვანი საკითხი: გარემოს დაც-
ვა, ბუნებრივი რესურსების ეფექტური
გამოყენება, მათემატიკისა და ასტრო-
ნომიის თანამედროვე პრობლემები, ეკო-
ნომიკური განვითარება, მეცნიერება, ტექ-
ნოლოგიები და ინოვაციური პოლიტიკა.

საქართველო ამ პროექტების და-
ფინანსებაში 150 000 ევრო გამოყო, მაგ-
რამ ქართული მხარე ყველა პროექტში
ძირითადად გრანტის მიმღებად გვევ-
ლინებოდა.

სემინარის მნიშვნელობაზე კომენტა-
რი ვთხოვეთ საქართველოს განათლე-
ობისა და მეცნიერების მინისტრის მოად-
გილეს **სანდრო დიდებულიძეს**:

მაღა თსუ-ს ირანელი პროფესორები ეხვევიან

10 აპრილს თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარული ფაკულ-
ტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მიმარ-
თულების ირანისტიკის განყოფილებაზე
გაიმართა ტრადიციული სტუდენტური
კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობ-
დნენ საქართველოს უმაღლესი სასწავ-
ლებლების ირანისტიკის განყოფილების
სტუდენტები, მაგისტრანტები და დოქ-
ტორანტები.

კონფერენციის გახსნას დაესწრო
თსუ რექტორი, პროფესორი გიორგი
ხუბუა, ირანის ისლამური რესპუბლიკის
ელჩი საქართველოში, მისი აღმატებუ-
ლები, ბატონი მოვთაბა დამირჩილუ,
საელჩოს კულტურის ატაშე, ბატონი ზა-
ბილა ნადერი.

კონფერენციის დაწყებამდე გაიმარ-
თა საქმიანი შეხვედრა უნივერსიტეტის
რექტორსა და ირანის ელჩს შორის.
ალიანსი ირანის საელჩოსა და თბილი-
სის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის
არსებული ნაყოფიერი თანამშრომლო-
ბა და გამოითქვა მოსაზრებები მომავ-
ალი ურთიერთობის შესახებ.

უახლოეს გეგმებზე საუბრისას ბ-
ნმა დამირჩილუმ აღნიშნა, რომ მაღა
თსუ-ს ეწვევიან ირანელი პროფესორე-
ბი, რომლებიც ირანისტიკის განყოფი-
ლების სტუდენტებისათვის გამართვენ
სპარსული ენის ინტენსიურ კურსებს,
ხოლო პროფესორებისათვის – ხანმოკ-
ლე ტრენინგს. კვლავ გაგრძელდება ქარ-
თველი სტუდენტების გაგზავნა ირანის
უმაღლეს სასწავლებლებში მოკლევადი-
ან სტაჟირებაზე.

თსუ რექტორმა მადლობა გადაუ-
ხადა სტუმრებს თანამშრომლობისათ-
ვის და აღნიშნა ამ თანამშრომლობის
გაღრმავების აუცილებლობის შესახებ.
პროფესორმა გიორგი ხუბუამ ხაზი გა-
უსვა ქართული მხარის დაინტერესებას
უფრო გრძელვადიანი პროექტებისა და

– ბატონო სანდრო, ამ პროექტე-
რის განხორციელება შეიძლება თუ არა
ჩართვას მეცნიერების კომერციალი-
ზაციის ხელშეწყობად სამხრეთ კავკასი-
ის ქვეყნებისათვის?

– ამ პროექტში დაფინანსებული მი-
მართულებების უმეტესობა ფუნდამენ-
ტური მეცნიერებებია. ფუნდამენტური მეც-
ნიერება, ცხადია, პირველ რიგში, უნდა
მუშაობდეს საუნივერსიტეტო განათლე-
ბის ასამაღლებლად, იმიტომ, რომ საუ-
ნივერსიტეტო განათლება მყარი სამეც-
ნიერო საფუძველის გარეშე წარმოუდ-
გენელია. მყარი სამეცნიერო ბაზა მიმ-
ზიდველ გარემოს შექმნის უცხოელი სტუ-
დენტებისათვის. ამ მხრივ თსუ-ს საკმა-
ოდ კარგი შედეგები აქვს, მაგრამ ჩვენი
მიზანია, საქართველო გახდეს ცოდნის
ექსპორტიორი ქვეყანა. დღეისათვის ჩვენ-
თან სწავლობს 1600 უცხოელი სტუდენ-
ტი, ხოლო საზღვარგარეთ სწავლობს
ჩვენი 6000 სტუდენტი. შეიძლება ითქ-
ვას, მიუღ მსოფლიოში მიმდინარეობს
ბრძოლა უცხოელი სტუდენტებისათვის.
ამ მხრივ დიდი წარმატებები აქვს ინგ-
ლისურენოვან ქვეყნებს. მობილობის გაზ-
რდა, სასწავლო პროგრამების პარამო-
ნიზაცია გვაახლოებს ბოლონის პრო-
ცესის მოთხოვნებთან, მაგრამ იმისათ-
ვის, რომ ეფექტური ნაბიჯებით ვიარ-
ოთ, აუცილებელია სამეცნიერო კვლე-
ვების უფრო მაღალ დონეზე აყვანა. ამი-
ტომ ასეთი ტიპის პროექტებში მონაწი-
ლეობა მნიშვნელოვნად ზრდის ჩვენი
ქვეყნის პერსპექტივებს ევროკავშირითა-
ნებში განვირინების მიმართულებით.

რაც შეეხება კომერციალიზაციას, ფუნ-
დამენტური მეცნიერებები საქართველოში
საკმაოდ კარგად არის განვითარებული
და ეს პოტენციალი არავითარ შემთხვე-
ვაში არ უნდა დაკარგოთ. კონკურსმა,
რომელიც ეროვნულ სამეცნიერო ფონ-
დამ ჩაატარა, გვიჩვენა ევროპის დიდი
დანერტვისა ჩვენი ქვეყნის სამეცნი-
ერო პოტენციალის შემდგომი გაზრდისა-
კენ. შემდეგი ეტაპი არის გამოყენებითი
მეცნიერების ხელშეწყობა და სამეცნი-
ერო პროდუქტის მიყვანა წარმოებაში.
თუ საქართველოს მეცნიერება სახელმ-
წიფოს განვითარებაში 50%-ით, საჭი-
როა, საერთაშორისო თანამშრომლო-
ბამ ასეთივე წვლილი შეიტანოს მეცნი-
ერების განვითარებაში. მეცნიერებამ უნ-

და განავითაროს ეკონომიკა, რომ შემ-
დეგ ეკონომიკამ ხელი შეუწყოს სამეც-
ნიერო პოტენციალის სრულ გამოვლე-
ვას.

– როგორ შეავსებდით ევროკავ-
შირის სტრუქტურის – ახალი დამოუკი-
დებელი სახელმწიფოების მეცნიერებთან
თანამშრომლობის საერთაშორისო ასო-
ციაციის (INTAS) – როგორ ასეთი პრო-
ექტის განხორციელებაში და როგორ
წარმოგიდგენიათ სამხრეთკავკასიის
ქვეყნების მეცნიერთა შემდგომი განვი-
თარება?

– როგორც ვიცით, INTAS-მა გაას-
რულა თავისი ხელშეწყობი ფუნქცია ევ-
როკავშირისა და სამხრეთკავკასიის
ქვეყნებს შორის. ამ ორგანიზაციამ პრაქ-
ტიკულად ჩვენს მეცნიერებს საშუალება
მისცა, ემუშავათ ნამყვანი ქვეყნების მეც-
ნიერთან. აქამდე დაფინანსება საერ-
თაშორისო ხასიათისა იყო. მომავალი
2-3 წლის განმავლობაში ჩვენ უნდა გა-
დავეყნოთ თანაბარფულეობიან პარტნი-
ორობაზე ევროპის სამეცნიერო სივრ-
ცესთან.

2007 წლის იანვრიდან დაიწყო მე-7
ჩარჩო პროგრამა, რომელიც 7 წელი
გაგრძელდება. ამ ეტაპზე INTAS-მა აღარ
მიიღო დაფინანსება ევროკავშირისგან ანუ
ხელშეწყობი ფუნქცია ამჯერად უნდა
იკისროს საგარეო დონორების ორგანი-
ზაციებმა, როგორცაა მაგალითად
CNRS, შვეიცარიის სამეცნიერო ფონ-
დამ, ევროპის სამეცნიერო ფონდამ, ფრა-
უნ ჰოფერის საზოგადოებამ, მათს პლანკის
საზოგადოებამ და ა.შ. მათ შიგნით
ურთიერთობა აქვთ კერძო კომპანიებ-
თან, წარმოებებთან. აღნიშნულ სემი-
ნარს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმი-
თაც, რომ წმინთ ჩამოთვლილი კონ-
სორციუმებიდან რამდენიმე მოწვეული
იყო დასვნიტ სემინარზე და მათ ფაქ-
ტობრივად შეაფასეს როგორც ევრო-
კავშირის წევრი ქვეყნების, ისე სამხ-
რეთკავკასიის ქვეყნების სამეცნიერო პო-
ტენციალი. სემინარზე აგრეთვე წარმო-
ადგინეს მსხვილი პროექტი, რომელიც
ხელს შეუწყობს ახალი საინფორმაციო-
საკომუნიკაციო ქსელის შექმნას. ეს პრო-
ექტი სამომავლო თანამშრომლობის
საწყის ეტაპია, რომელიც უზრუნველყოფს
ინფორმაციის გაცვლას მონაწილე ქვე-
ყნებს შორის.

რა პიხით განმოდინი- რებულნი საკვების უსახეა?

18 აპრილს საგანმანათლებლო
კვლევითი ცენტრი „გარემო და ჯან-
მრთელობა“ სემინარს ატარებს.
საგანმანათლებლო კვლევითი ცენ-
ტრი „გარემო და ჯანმრთელობა“ 2005
წელს დაფუძნდა. ცენტრის წევრების
უმრავლესობას თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის თანამშრომლები
წარმოადგენენ. ორგანიზაციის ძირი-
თადი მიზანია, ხელი შეუწყოს საგან-
მანათლებლო და კვლევითი საქმიან-
ობის წარმართვას ჯანსაღი ეკოლო-
გიური გარემოს დაცვისა და მეცნი-
ერების ბიო-სამედიცინო დარგების გან-
ვითარების მიზნით. როგორც ამ ცენ-
ტრის წევრები: უნივერსიტეტის ასის-
ტენტ-პროფესორები ელენე ჩერქეზია,
თამარ აბსანიძე და მარია გაგუა აცხა-
დებენ, კვლევითი ცენტრი მიზანმი-
მართულია საგანმანათლებლო საქმი-
ანობისაკენ. მათი მიზანია, საზოგა-
დოებას პოპულარული ენით მიანო-
დონ ბიო-სამედიცინო ტექნოლოგი-
ებთან დაკავშირებული პრობლემური
ინფორმაციები. ამასთან დაკავშირე-
ბით შეიქმნა საინფორმაციო ბუკლე-
ტი – „რა ვიცით გენმოდინიერებუ-
ლი საკვების შესახებ“. მასში განხი-
ლულია ამ პროდუქტების როგორც და-
დებითი, ისე უარყოფითი თვისებები.
„ჩვენი მიზანია, საქართველო გა-
მოცხადდეს დასურულ ზონად გენ-
მოდინიერებულ საკვების შემოტა-
ნის მიმართ. ეს ინიციატივა გარემოს
დაცვის და სოფლის მეურნეობის კო-
მიტეტის ერთობლივ სხდომაზე გა-
ნიხილეს, ვინაიდან არსებობს იმის სა-

შისრობა, რომ ასეთი პროდუქტი სა-
ქართველოში დიდი რაოდენობით შე-
მოვიდეს. 18 აპრილს გვეგმათ ჩავა-
ტაროთ სემინარი, სადაც მონაწილე-
ობას მიიღებენ სხვადასხვა საერთა-
შორისო ორგანიზაციები. ეს ბუკლე-
ტიც ამ კონფერენციისთვის შეიქმნა“, –
აცხადებენ კვლევითი ცენტრის წე-
ვრები.

„გარემო და ჯანმრთელობის“
სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს
ფუნდამენტური ბიო-სამედიცინო და
ეკოლოგიური კვლევების ხელშეწყობას,
საზოგადოებაში ეკოლოგიური ცნო-
ბიერების ამაღლებას, ეკოლოგიური
გარემოს დაბინძურების ხარისხის გათ-
ვალისწინებით საზოგადოებრივი ჯან-
დაცვის პროგრამების შემუშავებასა
და მათ განხორციელებას.

ცენტრთან თანამშრომლობენ ორ-
განიზაციის საპატიო წევრები, პრო-
ფესორები: გრიგოლ თუმანიშვილი და
დიანა ძიძიური. ახალგაზრდა მეცნი-
ერები აქტიურად მონაწილეობენ გენ-
მოდინიერებულ საკვების თა-
ობაზე საქართველოში საპარლამენტო
დონეზე გამართულ დებატებში, გეგ-
მევენ ტრენინგებს, სემინარებს, კონ-
ფერენციების ჩატარებას გარემოს
დაცვისა და მასთან დაკავშირებულ
ბიო-სამედიცინო პრობლემებზე. ცენ-
ტრის წევრების განცხადებით, ასევე
ჩამოყალიბდება რეგიონალური საინ-
ფორმაციო ცენტრები, რათა ამ პრობ-
ლემური საკითხების განხილვაში სა-
ზოგადოების მონაწილეობა გაიზარ-
დოს.



მოსკოვმა დაიხია უკან თუ შეპარდნაქმ?

14 აპრილი ქართული ენის დღეა



პირველი გვერდიდან

— ტექსტი სტუდენტებს არ აღმოუჩენიათ და, შესაბამისად, პირველი განგაშიც ჩვენგან არ ამტყდარა. პირველი ცნობა, გაგვირდებოდა და, პარტიის ცენტრალური კომიტეტიდან წამოვიდა. ელუარდ შევარდნაძემ პარტიის ცენტრში დაიბარა საზოგადოებისთვის ცნობილი პირები, უმაღლესი სასწავლებლების რექტორები, პარტიული აქტივი და ამ მუხლის ცვლილების შესახებ პირველი თათბირი გამართა. პარტიულ მოღვაწეთა ერთი ნაწილი ცვლილებას „აღფრთოვანების ყბულით“ შეხვდა. სტენოგრაფიული ჩანაწერი არსებობს და პარტიის ცენტრში ერთადერთი ადამიანი, ვინც ვაუკაცურად გამოვიდა და მიუღის აქტივის ეს დოკუმენტი თავზე გადაახია, ავაცი ბაქრაძე იყო. ამ სხდომის შემდეგ კონსტიტუციის 75-ე მუხლის შეცვლის შესახებ ჩვენთვისაც გახდა ცნობილი. უნივერსიტეტის ენობა მოვიდა მაშინდელი მეთვლეკურის სტუდენტი ნუგზარ ლუაფა და ამის თაობაზე გვაცნობდა. ნავედით, მოგვხვნივთ ვაგეთი, ალგოვითი, ავედით უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მე-3 სათაურის და ფანჯრის რაფაზე მე, ნუგზარ ლუაფა, ვასილ მალაფორიძემ, თამაზ ხარაიშვილმა და პაატა ვეშაბიძემ ცენტრალური კომიტეტისა და მისი ხელმძღვანელის ელუარდ შევარდნაძის სახელზე საპროტესტო მიმართვა დაწერეთ. ტექსტში ვამბობდით,

რომ ერთ საბჭოთა ახალგაზრდები, ენის ნარტიმეც ვერაფრით ვერ შევცვლებით და ყველანი იგივე საშუალებით გავილაშქრებთ ამ ბარბაროსული აქტის წინააღმდეგ. უნივერსიტეტში ტალღა მას შემდეგ აგორდა, რაც ჩვენ ამ ტექსტზე ხელმოწერების შეგროვება დაიწყო. უნივერსიტეტში არსებული ატმოსფეროს ფონზე, სადაც იმ დროისთვის 12 ათასამდე სტუდენტი სწავლობდა, ხელი მხოლოდ 473-მა კაცმა მოგვიწერა, რამაც პარტიული ხელმძღვანელობა გააკოცა. ეს რაოდენობა ბევრი ჩანდა, რადგან, როგორც წესი, ამგვარი შინაარსის ტექსტებს ხელს არავინ აწერდა.

— ალაბო, მსგავსი ტექსტები არც იწერებოდა და გაოგნებაც ამიტომ გამოიწვია...

— არ იწერებოდა, მაგრამ შიგადაშინ ჩვენ ვაგრძელებდით პროკლამაციებს, ასევე ზვიად გამსახურდიას ჟურნალს: „ოქროსი საწმისი“, „საქართველოს მოამბეს“ და მას არავინ გვართმევდა უნივერსიტეტიდან გარიცხვის შიში. მართლაც და აპრილის დასაწყისში, ხელმოწერების შეგროვების პროცესში, ხშირად იყო თხოვნა, შექარები, რომ თავი დავეწვენებინა „სისულელეებისთვის“. მთავრობამ უნივერსიტეტის ფაქულტეტებსა და კათედრებს კრებების ჩატარება დაავალა აღნიშნული მუხლის მხარდასაჭერად. ზოგიერთი, მათ შორის, ფოლკლორისტიკის კათედრა, ზურაბ კვიციანი ხელმძღვანელობით ლიად უჭერდა მხარს

საპროტესტო მოძრაობას. ჩვენი ლექტორების ნაწილს ჰქონდა კაცური პოზიცია, მათ შორის იყვნენ: იურა ჯაფარიძე, ოთარ ონიანი, ლადო მინაშვილი, რეზო სირაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, კოტე გაბაშვილი, ოლეგ გოლიაძე და სხვები. მორალური გამხსნელების მიუხედავად, მათ უჭირდათ ჩვენი ნაქმება, მაგრამ იყვნენ ისეთები, ვინც მთელი სოფისტური ლოგიკის მოშველებით ამტკიცებდნენ, რომ საკონსტიტუციო ცვლილება მოსაწონი იყო. არ ჩამოვთვლი მათ გვარებს, მაგრამ საზოგადოების მაშინდელმა თაობამ კარგად იცის, ვინ რას ავეთება. იმის მიუხედავად, რომ სამხრეთ შეგროვილი ხელმოწერების ერთი ვარიანტი ცეკას მისამართზე ფოსტით გაგვანავნეთ, რატომღაც დაიწყო დევნა დანარჩენი პირების ხელში ჩასაგდებად. მიგზავდით, შემოვთვებთ მისებს და თავადვე გავავრცელებთ ხმა, რომ დანარჩენი ეგზემპლარი გაეროში გაგვანავნეთ, სინამდვილეში კი, რა ორგანიზაცია იყო გაერო, წესიერად არც ვიცოდით. რადიკალური ზომები ამ პერიოდში, არც თავად უნივერსიტეტში და არც ზემოდან, არავის მიუღია, თუმცა 14 აპრილის წინა დღეს ცეკადან შემოთვალეს, რომ ტექსტი გამოცვლის შემთხვევაში თბილისი იქნებოდა სამხედრო კომენდანტის ხელში და ელუარდ შევარდნაძე რუსის ჯარის საქციელს ვერ გააკონტროლებდა.

— როგორც ცნობილია, რუსული ტანკები პარლამენტის შენობის ფონში მდივანსა და დანებდნენ რადენიმე დღით ადრე განლაგდნენ და ასეთ ვითარებაში დაიწყო კომუნისტური საკანონმდებლო ორგანოს 14 აპრილის სესია, სადაც ეს მუხლი უნდა დამტკიცებულიყო. როგორ დაიწყო ეს დღე უნივერსიტეტში?

— დათქმის თანახმად, სტუდენტებმა შეგროვება დილის ცხრა საათიდან დაიწყეთ. ამ დროისთვის, პოლიციის უიარაღო კორდონები უკვე განლაგებული იყო ჩაის სახლთან, ვარაზის ხევის ამოსასვლელთან, ფილარმონიასთან. პირველი ნაბიჯის გადადგმა ძალიან გაჭირდა, მე და ჩემმა მეგობრებმა რამდენიმე ბიჭი ავიყოლიეთ და პირდაპირ გავემართეთ პირველი კორდონისკენ. სტუდენტების დიდმა ნაწილმა რომ დაინახა, ისინიც დაიძრნენ და უცებ ვარაზის ხევიდან „გეპეის“ ბიჭებმა დაიგუგუნეს, მათი ტალღაც მოანვა და პოლიციის კორდონები ცველან გაიხსნა. იმის მიუხედავად, რომ მასაში პროვოკატორე-

ბიც იყვნენ, ჩვენმა მოწინააღმდეგეებმა თავიდან აგვაცილა ყველა ექსცესი. ფილარმონიასთან სკოლის ფანჯრებიდან გადმოშტარი ბეჭდები და მათი მასწავლებლებიც შემოგვიერთდნენ. მოულოდნელად პარლამენტში, სესია გადაწყვეტილების მიღებაზე მსჯელობდა. როცა რუსთაველის პროსპექტზე ზღვა ხალხი შევიდა, პირველად გამოცხადდა, რომ სახელმწიფო ენად რჩებოდა ქართული და მოგვიწოდეს, დავშლილიყავით.

— 1978 წლის 14 აპრილიდან 39 წლის შემდეგ ელუარდ შევარდნაძე, სახელმწიფო ენის გადარჩენის საქმეში შეტანილ თავის წვლილზე საუბრისას, ხანგამით აღნიშნავს, რომ მისი პოლიტიკური ტაქტიკის შედეგად, რუსულმა სამხედრო ჯარმა ძალის გამოყენება ვერ გაბედა. საინტერესოა, თქვენ რას ფიქრობთ?

— როგორც მაშინ ამბობდნენ, მოსკოვს ინაური უკავშირდებოდა, მაგრამ ეს ნაკლებად საინტერესოა. როცა მოსკოვს უთხრეს, რომ ქუჩაში უამრავი ახალგაზრდა იყო გამოშლილი, პირველად უკან კრებლმა დაიხია და გამოვიცხადეს, რომ სახელმწიფო ენად რჩებოდა ქართული. რუსული სამხედრო ტექნიკა მაშინ პარლამენტის შენობიდან გარეთ არ გამოშლია.

ვიღაცამ ერთხელ თქვა, 14 აპრილი პარტიკომებმა თავად მოაწვესო. მაშინ სუკი ჩვენი დევნის გარდა, არაფერს ავეთება და ეს სტრუქტურა მაშინ ვის ემორჩილებოდა, თუ იცით?

— ბატონო ნოდარ, თქვენ ზემოთ ახსენეთ, რომ საკონსტიტუციო ცვლილების შესახებ შევარდნაძე მას შემდეგ დაიწყო, რაც ელუარდ შევარდნაძემ პირველი თათბირი გამართა. ხომ შეიძლება, ვიფიქრო, რომ არსებული რეალიზაციის გამოდინარე, ცეკას პირველმა მდივანმა საზოგადოებრივი მღელვარების გამოწვევას ხელი თავად შეუწყო? თუ ასეა, მაშინ შევარდნაძის როლის შეფასებაზე თვალის დახუჭვა სულ ცოტა უმადურობა იქნებოდა...

— მაშინდელი იმპერია სისხლისღვრას მოერიდა და ასე გამოვიდა, თუმცა, ბუნებრივია, რომ შევარდნაძეს სისხლის დაღვრა არ სჭირდებოდა. ბოლოსდაბოლოს, მსხვერპლის მის კარიერას დაუსვამდა ნერვოზი და ჩვენ თუ არა, საკუთარი თავი ხომ უყვარდა. ის თათბირი კრებიდან დავალბული იყო საკონსტიტუციო ცვლილების მხარდასაჭერად. არ გამოვიცხადე, რომ შევარდნაძისთვის მისი ხელმძღვანელობის პერიოდში სახელმწიფო ენის გაუქმებად


უბედურება იქნებოდა. შესაძლოა, მას ასეთი ცვლილება არ ესაიბოვნა და გულზე მოხვდა, მაგრამ იქ არ იყვნენ ისეთი ვაჟაკები, დიდი დემონსტრაციის გარეშე მოსკოვისთვის კატეგორიული უარი თქვიათ. 14 აპრილს შუადღისას რომ გავიმარჯვეთ, მერე მთელი საქართველო საქეფოვდ წავიდა. თანაურსელები იბოდრომზე რესტორანში ვილხენდით, სადაც პირადად ჩემთან მოვიდა შვებში ჩაცმული ერთი გათახსირებული კაცი და გალიმებული სახით მითხრა, გილოცავთო. ჩვენიანი მეგობრები და მეც მივლოცეთ. მანქანიდან გადმოვიდა, მომიხლოვდა და ჩემთან, თქვენი ორგანიზატორი ვინ იყოო. რომ ვუთხარი, რა ორგანიზატორი, ეს სახალხო მღელვარება იყო-მეთქი, შემგინა, ჩახტა მანქანაში და დაბოძლი გაიქცა. 14 აპრილის წლისთავზე კი, უნივერსიტეტის მიერ სტუდენტობა ქალაქგარეთ გაგვიყვანეს და ექსპურსია მოგვიწვეს, რომ კიდევ არ გამოშლიყავით ქუჩაში.

— დღევანდელი რეალობა და მომავლის პერსპექტივების გათვალისწინებით, ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ კომუნისტური ეპოქაში „დედა ენის“ დომინანტობა 14 აპრილი საქართველოს უახლეს ისტორიაში სხვა მნიშვნელოვანი თარიღების მსგავსად გადამდგა-გადაფასების სამხრე გახდეს?

— პიროვნებების მსგავსად, არსებობს თარიღები, რომელთა გადაფასებაც არცერთ დროში არ ხდება. ვერ წარმოგიდგინათ, ოდესმე გადაფასდეს ილია ჭავჭავაძის, დავით აღმაშენებლის სახელები. ასეა 14 აპრილიც და ეს თარიღი არავისთვის ეჭვქვეშ არ დგას. არც მომავალში დადგება, რადგან ეს თარიღი არის ქართული ენის დაბადების დღე. ამ დღეს ჩვენ აღვნიშნავთ არა დემონსტრაციის თარიღს, არამედ ქართული ენის დაბადების დღეს, რაც სრულად მისასაღებელია. ერთი კი არა, ყველა დღე ქართული ენისაა, მაგრამ ერთ შეთანხმება, რომ ყოველწლიურად ვიხივით ამ უნიკალური და ითანე ზომის ნაქები ქართული ენის დაბადების თარიღი, რომლითაც ჩვენ დღეს ერთმანეთს ვესაუბრებით. ქართული ენა ისეთია, უცნობთან საუბრისასაც კი ვგრძობთ, რომ ცვლანი ერთმანეთის დაფასების ვართ. თუ თქმა უნდა, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის მსგავსად, ქართული ენა მოცუ საუკუნის 70-იან წლებში არ დაბადებულა, ის გაჩნდა ქართული ენისა და პირველი ქართველი კაცის გაჩენისთანავე. 1978 წლის 14 აპრილს მას, უბრალოდ, დაცვა და გადარჩენა დასჭირდა.

პერსონები ქართველთა ეთნოგენეზის შესახებ

მანანა ჯურსაძე



ოთარ ჯაფარიძე



დათო ტურაშვილი



მერაბ ჩუხუა

ხის წარმოშობისა და პირველადილ-სამყოფელის საკითხი. უკანასკნელ ხანს, დმანისის ფეოდალური ხანის ნაქალაქარზე მოპოვებულმა აღმოჩენებმა სრულიად შეცვალეს შეხედულება კავკასიაში პირველყოფილი ადამიანის გამოჩენის შესახებ.

მეცნიერმა საინტერესოდ ისაუბრა საქართველოში ძველი ქვის ხანის, პალეოლითის გვიანდელ საფეხურებზე. ოთარ ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ახალი ქვის ხანის, ნეოლითის დადგომისას უნდა დასრულებულიყო კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ფორმირების პროცესი და რომ აქედან იწყება კავკასიის ხალხების უაღრესი ისტორია. მან ნეოლითის ხანაზეც ისაუბრა.

„ამრიგად, სავარაუდოდ, ქართველი და კავკასიის სხვა აბორიგენი მოსახლეობის თავდაპირველი სამშობ-

ლო კავკასია უნდა ყოფილიყო. ნიშანდობლივია, რომ ანთროპოლოგიური მონაცემები კავკასიის მკვიდრი მოსახლეობის ადგილობრივ წარმომავლობას უჭერს მხარს“ — აღნიშნა ოთარ ჯაფარიძემ.

მწერალმა დათო ტურაშვილმა საზოგადოებას გააცნო მისი საკვლევითი თემის — „ორი იბერია“ ძირითადი მიმართულება, რომელზეც მადრიდის უნივერსიტეტში მუშაობდა.

— ეს არის იბერიული პრობლემის კვლევის ჩვენური ცდა, რომელიც ანტიკური ხანიდან არსებობს. ანტიკური ხანის ავტორები იმთავითვე ახსენებდნენ ორ იბერიას — დასავლეთ იბერიას ესპანეთში და აღმოსავლეთ იბერიას კავკასიაში. მონათესავე იბერიელების შესახებ არსებობდა ორი ვერსია. ნაწილი კავკასიის მიიჩნევდა იბერიელების სამშობლოდ, ნაწილი კი

პირიქით — პირინეებს, საიდანაც იბერიელები კავკასიისკენ წავიდნენ და საქართველოში დასახლდნენ.

ჩვენი მოკრძალებული და სუბიექტური აზრი არის მესამე ვერსია, რომლის თანახმადაც, შესაძლოა, სმელთაშუა ზღვის სივრცე წარმოადგენდა იბერიული ცივილიზაციის განვრცობის არეალს. იმ ცივილიზაციის ნაშთები დასავლეთში იყო ესპანეთი და აღმოსავლეთში — საქართველო.

სავარაუდოა, რომ ფრამენტულად საერთო პროტოიბერიული სამყაროს კვალი სმელთაშუაზღვის აუზში რამდენიმე კუნძულის სახითაც დარჩა და სავმარისია, თუნდაც, სარდინისი, კოსოსის ან სიცილიის დასახელება, როგორც არაინდოევროპული წარმომავლობისა.

„ესპანეთის იბერიელებს ჰქონდათ თავისი იბერიული ენა და დამწერ-

ლობა, რომელიც გაქრა ინდოევროპეზაციის შედეგად, მაგრამ, ჩვენი ვარაუდით, იმ იბერიული ენის კვალი უნდა დარჩენილიყო, როგორც ესპანურ, ასევე ესპანეთში დღემდე არსებულ სხვა ენებში. ჩვენი თემის მიზანი იმდენტურობათა გამოშვეურებაა, რომელიც არცთუ იშვიათია ლექსიკასა თუ გრამატიკულ სტრუქტურებში. გარდა ამისა, ესპანურ ტოპონიმოკასა და ცალკეულ სიტყვათა ეტიმოლოგიაში არსებული დამოკიდებულები და ქართულ-ესპანური პარალელები, უბრალოდ, გასაოცარია. მნიშვნელოვანია ერთნაირი გვარების სიმრავლე ესპანეთსა და საქართველოში“, — აღნიშნა დათო ტურაშვილმა.

დამსწრე საზოგადოების უაღრესად დიდი დაინტერესება გამოიწვია პროფესორ მერაბ ჩუხუას მოხსენებაში „ქართველთა ეთნოგენეზისი ენობრივი მონაცემების მიხედვით“. აღსანიშნავია, რომ იგი ქართველთა წარმომავლობის საკითხებს ლინგვისტური მონაცემების საფუძველზე იკვლევდა. ავტორი კარგად იცნობს და სათანადოდ იყენებს არქეოლოგიურ არგუმენტებს. იგი მართებულად ასკვნის, რომ ეთნოგენეზისის პრობლემის შესწავლა, ენობრივი და არქეოლოგიური მონაცემების შედეგად, უფრო პერსპექტიულია. მოხსენებელმა ენობრივი მასალების საფუძველზე საკვლევი დამოუკიდებელი აღნიშნა, რომ ქართველების პირველსახეობის კავკასიის მინაწყალი უნდა ყოფილიყო. მეცნიერმა თავისი არგუმენტი უამრავი ენობრივი მასალით გააყარა.

ადგომა მუხროვანის ბაზაზე

ნიკო კაკულია

8 აპრილს მუხროვანის ბაზაზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს, რომლებიც 31 მარტს სარეზერვო სამსახურში გაიწვიეს, უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი ხუბუამ, ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გულნაზი გაღდავამ, სენატის სპიკერმა კახაბერ ლორიაძემ და სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებმა ადგომა მიულოცეს. „ქრისტე აღდგა!“ – რექტორის შეძახილს სტუდენტებმა ერთხმად უპასუხეს – „ჭემარითადა!“; რის შემდეგაც გიორგი ხუბუამ მათ მადლობა გადაუხადა მათი მისამართით სამხედრო მეთაურების მიერ გამოთქმული საქებარი სიტყვების გამო.

რეზერვისტები დილის შვიდის ნახევარზე ადგომას, ლოგინის გასწორებას, თავისი პირადი თეთრულის გარეცხვასაც მშვენივრად ახერხებენ. ხაზზე უკვე წუთში ეწყობიან და მწყობრად სიარულსაც კარგად ითვისებენ. მთების დაღამებულ თურმე იმდენად ღლით, რომ ღამით ტელევიზორის ყურების თავიც არ აქვთ. რაც მთავარია, კვებით კმაყოფილი არიან და მობილურებით მშობლებთან, მეგობრებთან თუ შეყვარებულებთან ნანუწუნების უფლებაც აქვთ.

„ის, რომ თქვენ ასეთი გარემო გაქვთ და ჩვენ და თქვენი მშობლები მშვიდად ვართ – არის დღევანდელი ქართული ჯარის მთავარი მიღწევა“ – აღნიშნა რექტორმა, რომელმაც სტუ-

დენტებს უნივერსიტეტში გაუკაცბად დაბრუნება უსურვა.

„დღეს მართლაც ღამიანი დღეა. ქრისტე ამბობს: „მომიახლოვდი მე და მოგიახლოვებდი მეც“. მინდა თითოეულ თქვენთაგანს ვუსურვო იმის ძალა, რომ მეტნაკლებად შევძლოთ მივეუახლოვდეთ მაცხოვარს. მადლობა იმისათვის, რომ ღირსეულად წარმოადგინეთ უნივერსიტეტს და დარწმუნებული ვარ, ამ შეკრების ბოლოს გაცილებით უფრო თამამ მადლობასაც დაიმსახურებთ“, – განუცხადა გიორგი ხუბუამ ხაზზე შეკრებილ რეზერვისტებს, რომლებიც მოუთმენლად ელოდნენ „დაშლის“ ბრძანებას, რათა, პირველ რიგში, თავიანთი მეგობრები ენახათ. „ჯარისკაცებს გოგონებზე ცუდი რეაქციები აქვთ, ამიტომ არ გირჩევთ მათთან ერთად ჩვენს ბაზაზე სტუმრობას“, – ხუმრობით შენიშნა გვარდიის სარდალმა ნიკა ჯანჯღავამ ბატალიონისკენ მომზირალ სტუდენტური თვითმმართველობის გოგონებზე.

რეზერვისტებს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი გიორგი ავალიანიც მიესალმა, რის შემდეგაც მათ უფლება მიეცათ დაშლილიყვნენ და თავიანთ მეგობრებს შეხვედროდნენ.

ამ გულისამაჩუყებელი სცენების შემდეგ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ და თვითმმართველობის წევრებმა 600-მდე რეზერვისტ-სტუდენტს პასკები და ნითელი კვერცხები დაურიგეს.



მ რ ო ნ ი კ ა



წამო რეზერვში, მამარია!

საბჭოთა კავშირის ჯარში მიმავალი ტირილით აცილებდნენ ხოლმე, დამოუკიდებელი საქართველოს ჯარში – შიშით. ვისაც აფხაზეთის ომში უაზროდ განირობდა ბევრი ახალგაზრდა ახსენდება, ადვილად ვეღარ იღებს ხოლმე ჯარში სამსახურის გადაწყვეტილებას. გარდა ამისა, ქართველმა მშობლებმა დღემდე ვერ ძლიერ იმ განცდას, რომ მათი შვილი მზრუნველობასმოკლებულ გარემოში და მკაცრი წესების პირობებში უნდა ამყოფონ.

დღეს ვითარება შეიცვალა. ახალი წესები სტუდენტებისთვის სტიმულის მომცემია: თუკი ის ნებაყოფლობით 2-ჯერ დამატებით წავა რეზერვში (რადგან ერთხელ წასვლა სავალდებულოა), სამხედრო სავალდებულო სამსახურისგან თავისუფლდება. უნდა ითქვას, რომ ამ პირობამ ბევრი სტუდენტი დააინტერესა. როგორი განწყობით წავიდნენ სტუდენტები რეზერვში?

მანანა ჯურსაძე

31 მარტს, დილით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის ეზოში სარეზერვო სამსახურში განწვეული სტუდენტები შევირიდნენ. სპორტულად ჩაცმული ხელჩანთებითა და ზურგჩანთებით ფაჯულტეტების მიხედვით ჯგუფებად შეგროვდნენ.

9 საათზე საზეიმო მიტინგი დაიწყო. საქართველოს პიმის ფონზე რეზერვისტების პირველ ბატალიონს მიესალმა და გზა დაულოცა უნივერსიტეტის რექტორმა მირონი სუშუამ:

– მინდა, დღევანდელი დღე მიულოცო ჩვენს სტუდენტებს, მივულოცო საზოგადოებრივი უნივერსიტეტს, ქვეყანას! დარწმუნებული ვარ, რომ არც ერთი თქვენგანი ამ საქმეს არ განიხილავს, როგორც მხოლოდ მოვალეობას, თუნდაც კონსტიტუციურს. ვხედავ და მიხარია, რომ თქვენ ამ მოვალეობას გულგრილად არ ეკიდებით, ამას აკეთებთ გულით. დარწმუნებული ვარ, ბოლომდე შეინარჩუნებთ ასეთ დადებით ემოციურ განწყობას. მოხარული ვარ, რომ ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა თაობაში, ზოგადად, საზოგადოებაში, რამდენიმე ათეული წლების შემდეგ, პირველად სუფევს ასეთი დამოკიდებულება.

განსაკუთრებით მივესალმები თქვენს მშობლებს, რადგანაც უპირველესად ოჯახის დამსახურებაა თქვენი ასეთი ორგანიზებული და, რაც მთავარია, გულსხმიანი დამოკიდებულება პატრიოტული მოვალეობისადმი.

მოგეხსენებათ, იყო დრო, როდესაც მე-20 საუკუნის დასაწყისში, უნივერსიტეტის რექტორი იძულებული იყო, სწორედ აქედან, მაშინდელი სტუდენტებისათვის სამშობლოს დასაცავად ფრონტისაკენ მიმავალი გზა დაელოცა. ასეთი რამ არასდროს აღარ უნდა განმეორდეს, ამიტომ გვჭირდება ამგვარი ღონისძიებები. ჩვენ უნდა ვიყოთ ძლიერნი. გასოვდეთ, თითოეული ჩვენთაგანი ქვეყნის ძლიერებას ემსახურება. დარწმუნებული ვარ, 18 დღის შემდეგ გაცილებით უფრო დაეაჯკაცბები დაგვიბრუნდებით უკან.

კიდევ ერთხელ გისურვებთ წარმატებას, შინაარსიანად გატარებულ დღეებს და მუდამ გასსოვდეთ, რომ უნივერსიტეტი ყოველთვის თქვენთან იქნება.

რეზერვისტებს წარმატებები უსურვა სტუდენტთა თვითმმართველობის პრეზიდენტმა მირონი ავალიანამ:

– მე ვუერთდები ამ ემოციებს, ამ საზეიმო განწყობილებას. მართლაც ძალიან მნიშვნელოვანია, რომ პირველი ბატალიონი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისგან დაკომპლექტდა და ჩვენთვის ეს კიდევ ერთი, დამატებითი პასუხისმგებლობაა. ჩვენ წინასწარ მოვიანახლებით მუხროვანის ბაზა, იქ მართლაც ყველა პირობაა შექმნილი იმისათვის, რომ ამ 18 დღის განმავლობაში თქვენ მაქსიმალურად კომფორტულად იტვირთოთ თავი. აღსანიშნავია, რომ დღეს ყველა ასე შემართებით ხართ აქ მოსული და, დარწმუნებული ვარ, 18 დღის განმავლობაში უამრავ ახალს შეისწავლით.

რეზერვისტ სტუდენტებს მშობელთა სახელით მიმართა პრნოლდ შვანიამ:

– ბედნიერი ვარ, რომ ჩემი შვილი თქვენთან ერთად მონაწილეობას მიიღებს სამშობლოს დაცვის საქმეში. ჩვენს ქვეყანას თითქმის არასდროს უღიზნდა, არ უღიზნს დღესაც, ჩვენ ყველამ ერთად მადლობა უნდა ვუთხრათ საქართველოს პრეზიდენტს, რომელმაც სათავე დაუდო ამ მოძრაობას და რომლის პირველი მერცხლები თქვენ ბრძანდებით. მუდამ უნდა გასსოვდეთ, რომ თქვენს უკან დგას საქართველო, დგას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. გისურვებთ კარგ სამსახურს და უნივერსიტეტში ჯანმრთელად და ჯანსაღად დაბრუნებას.

როგორი განწყობით წავიდნენ სტუდენტები სარეზერვო სამსახურში?

ნოზარ ლაღინი, ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის მართულელების მეოთხეკურსელი:

– წასვლა თან მიხარია, თანაც ვლუ-

ლა. ანალოგიური გრძობა მქონდა, ოთხი წლის წინ, როდესაც აქ, ამ ეზოში ვიდეტი, როგორც თბილისის უნივერსიტეტის პირველკურსელი სტუდენტი. მაშინაც დიდ პასუხისმგებლობას ვგრძობდი და ახლაც. მიმანია – ისწავლო წარჩინებით და სამხედრო-სარეზერვო სამსახურში იმსახურო კარგად, ორივე საპატიო მოვალეობაა.

ნიპრ მოღვაძემ, ჰუმანიტარული ფაკულტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის სპეციალისტის მეოთხეკურსელი:

– გუშინ ტელევიზიით ვუყურე, თავდაცვის სამინისტროს სპეციალურად ჩვენთვის როგორი შეუკრებელია მუხროვანის სამხედრო ბაზა. ძალიან მომეწონა განახლებული ყაზარმები, საშაპები, სასადილო და მენიუც. ვფიქრობ, იქ გატარებული 18 დღე, მართლაც კარგ მოგონებად დამრჩება.

მირონი ხანაშკალიანი, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფსიქოლოგიის მიმართულების მეოთხეკურსელი:

– ტელევიზიით ნანახმა ჩემზეც დადებითი შთაბეჭდილება მოახდინა, განსაკუთრებით დავინტერესდი იმ მომენტით, როდესაც გვარდიის სარდალმა ნიკა ჯანჯღავამ იქ მყოფი სტუდენტები ორხიდან სამხედრო ავტომანქანებში ჩასვა, სასროლეთზე გადაიყვანა და ცეცხლსასროლი იარაღი, სასწავლო ნაღები და ხელყუმბარები აჩვენა. 18 დღე არც ისე ცოტა დროა და, ვფიქრობ, საბძოლო იარაღის მოხმარებას თითოეული ჩვენთაგანი საფუძვლიანად შეისწავლის.

P.S. სამხედრო ინსტრუქტორებმა რეზერვისტები ოცელებად დაყვეს და ეროვნული გვარდიის სარდლის, პოლკოვნიკ ნიკოლოზ ჯანჯღავას ბრძანებით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 500-კაციანი რეზერვისტთა ბატალიონი მუხროვანის ბაზისკენ გასამგზავრებული ავტობუსებისაკენ გაემართა. მათთან ერთად იმყოფებოდა 16 რეზერვისტ-სტუდენტი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტიდან. გარდა ამისა, თსუს-30-კაციანი ჯგუფი თელავის ბაზისკენ გაემგზავრა.

უნივერსიტეტის რექტორი გიორგი ხუბუა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები რეზერვისტთა ბატალიონს მუხროვანში გაჰყვანენ. მათთან ერთად სამხედრო ეკიპირებას, საზეიმო ვითარებაში სამხედრო ფიცის მიღებას და რეზერვისტ-სტუდენტებისთვის განკუთვნილ პირველ სადილს თავდაცვის მინისტრი დავით კვიციანი და პარლამენტის წევრი ვიქტორია ბერიძე დაესწრნენ.

რეზერვისტთა მეორე ნაკადის განცევა 25 აპრილიდან დაიწყება.



ჩვენ არ გვინდა, ვინაიდან რამის გვპარნახობდას

მაშინ, როცა ქვეყანაში ოპოზიცია ძალიან სუსტია, არასამთავრობო ორგანიზაციები პასიურობენ, პოსტრევოლუციური საზოგადოებაში დიდია ნიჰილიზმი, ტელევიზიების უმეტესობა სახელისუფლო პოზიციებს ამყარებს და განიშნაბრებულ პრესას პოპულარობის ნაკლები საშუალებები აქვს, აქტუალური ხდება პრობლემა – ვის კრიტიკას გაუწევს ანგარიშს ხელისუფლება? ახალგაზრდობა ყოველთვის იყო და არის „მოდაში“, მისი ზარი კი მუდამ გასათვალისწინებელია. სწორედ ამიტომ დავინტერესდით სტუდენტთა პოზიციებით – როგორ უყურებენ ისინი ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს, აპირებენ თუ არა თავისი სიტყვის თქმას და თვლიან თუ არა, რომ შეცვლიან იმას, რაც არ მოსწონთ.

სტუდენტების მომხიბვლელობის საიდუმლო – სითამამე, გულწრფელობა და სილაღეა. ისინი ძირითადად სწავლით არიან დაკავებული, თავისუფალ დროს დადიან კლუბებში, დისკოთეკებში, გატაცებულნი არიან სპორტით, მუსიკით... მათი თავისუფლების ხარისხი, ცხოვრების ამ ეტაპზე, მაღალია. მაგრამ, როდესაც ქვეყანაში რაიმე მნიშვნელოვანი ხდება, მათი უზრუნველობა თითქოს სადღაც ქრება და ისინი აქტიურად ერთვებიან პოლიტიკურ პროცესებში. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ყოველთვის ითვლებოდა ეროვნული მოძრაობის კერად. კომუნისტური რეჟიმის პერიოდში ამ კედლებიდან ყოველთვის ისმოდა თავისუფალი სიტყვა. ხელისუფლება იძულებული იყო მოესმინა და გაეთვალისწინებია მათი მოთხოვნები.

აქტიურები იყვნენ ისინი „ვარდების რევოლუციის“ დროსაც და მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს იმდროინდელ მოვლენებში. რამდენად არიან ისინი დღეს პოლიტიკით დაინტერესებულნი, როგორია მათი თავისუფლების ხარისხი – ხომ არ აწუხებთ ევროინტეგრაციის შიშის სინდრომი, რომელზეც ხშირად საუბრობს საზოგადოების ზოგიერთი წარმომადგენელი. ამ თემაზე სასაუბროდ რამდენიმე სტუდენტს მივმართეთ:



თამარ ახაიანი,
სოციალურ და
პოლიტიკურ
მეცნიერებათა
ფაკულტეტის
პირველკურსელი

– მე ძალიან პოლიტიზირებული ადამიანი ვარ. პირველად პოლიტიკით სკოლის პერიოდში დაინტერესდი. დანამდვილებით ვიცი, რომ ეს ინტერესი გაგრძელდება და ჩემი ცხოვრების მიზნად იქცევა. პოლიტიკური აქტივობის თვალსაზრისით სტუდენტობის პერიოდი საუკეთესოა, რადგან შეგიძლია, თამამად მიიღო გადაწყვეტილება, დააფიქსირო შენი პოზიცია, ჩაერთო მნიშვნელოვან პოლიტიკურ პროცესებში. მე სტუდენტთა იმ კატეგორიას მივუთვინებ, რომლებიც თვლიან, რომ ქვეყნის მომავალი ჩვენს ხელშია. როდესაც ეს ფაქტორები ავირჩიე, ჩემი ინტერესები განზრახული მქონდა. ვცდილობ, ვიყო პოლიტიკურად აქტიური. ამიტომაც არ ვაკლდე ჩემთვის იდეურად მისაღებ მიტინგს თუ დემონსტრაციას, მონაწილეობას ვიღებ სატელევიზიო ტელე-დებატებში და თოქ-შოუებში, ვცდილობ ყველამ გამოეხატა ჩემი პოზიცია.


რაც შეეხება შიშის სინდრომს – მე ბათუმელი ვარ, იმ პერიოდში მომიწია იქ ცხოვრება, როდესაც ასობით აბაშიძის რეჟიმი მქონდა. მაშინაც კი, როდესაც ტელეკამერების წინ უფროსები სახეფარებულნი ამბობდნენ თავის ზრს, მე თამამად გამოეხატე ჩემს პოზიციას. ის, რაც ახლა ხდება, ვგულისხმობ გახმაურებულ სასამართლო პროცესებს, არც ერთ ნორმალურ ადამიანს არ ტოვებს გულგრილს. ჩემი აზრით, სასამართლო გახდა სახელმწიფო სტრუქტურის ფილიალი, ეს კი ძალიან საშინაოა.



დავით ხაჩიკიანი,
სოციალურ და
პოლიტიკურ
მეცნიერებათა
ფაკულტეტის
საერთაშორისო
ურთიერთობების
მიმართულების
პირველკურსელი

– პოლიტიკა ჩვენს ცხოვრებაში დიდი ხანია შემოჭრილია. ჩემი სპეციალობიდან გამომდინარე, ჩემი ცხოვრებაც განუყოფლად უკავშირდება მას. ხელისუფლება სტუდენტების ზრს ყოველთვის ანგარიშს უწევდა. უნივერსიტეტში, ამ შრივ, დღესდღეობით, უფრო პასიური დამოკიდებულებაა. ახალგაზრდობას მეტი აქტიურობა მართებს. მე, პირადად, ვცდილობ, ყოველგვარ პოლიტიკურ მოვლენებში აქედანვე ჩავება. თითქმის ყველა სატელევიზიო პოლიტიკურ თოქ-შოუს და დებატებს დავესწრო, იქნება ეს „რეაქცია“, „ტაბუ“ თუ სხვა გადაცემა, გამოეხატე ჩემი აზრი. ვცდილობ პოლიტიკურ ლიტერატურას.


უნივერსიტეტის სტუდენტობამ მეტად უნდა იტვირთოს გარკვეული პასუხისმგებლობები. საზოგადოება ჩვენ გვენდობა. ეს იმედი მას არ უნდა გაუტყუოთ. ქვეყანაში ჯერ კიდევ არის შემორჩენილი შიშის სინდრომი, მაგრამ კარგი პოლიტიკოსი ამას არ უნდა შეუშინდეს და მოვლენები ობიექტურად უნდა შეაფასოს. ქვეყნის კეთილდღეობა ჯანსაღ პოლიტიკურ ძალებზეა დამოკიდებული. სამომავლოდ გვემეცა, პოლიტიკაში გზა გავიკვლით. ჩემთვის მისაღები რომელიმე პარტიის აქტიური წევრი გახდები და ყველაფერს გადავტეხებ იმისათვის, რომ ძლიერი პოლიტიკოსი გახდეთ.



გიორგი ახაიანი,
სოციალურ და
პოლიტიკურ
მეცნიერებათა
ფაკულტეტის
მომართულების
პირველკურსელი

– პოლიტიკით დაინტერესებული არა ვარ, მაგრამ დაინტერესებული ვარ საქართველოს ბედით და იმ ვითარებით, რაც ჩემს ქვეყანაში ხდება. პირველ კურსზე ვიყავი, როცა საქართველოს ტელევიზიის პირველი არხის გადაცემაში – „ცაიტი-ნოტი“ აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას. იმის შემდეგ ჩემმა აქტიურობამ იკლო. არც აქციებში, არც თოქ-შოუებში აღარ ვმონაწილეობ.

თავისუფალი ზარი შეზღუდული არ არის, მაგრამ ხშირია შემთხვევა, როდესაც „ძალიან ყვეს და ქარავანი მიდის“, ხალხი ლაპარაკობს, აპროტესტებს, მაგრამ ხელისუფლება მაინც იმას აკეთებს, რასაც საჭიროდ მიიჩნევს. საშინაოა, რომ ხშირად სტუდენტების შხრიდან პოზიციის გამოხატვას თუ აზრის დაფიქსირებას მოეწონებოდათ ხასიათიც აქვს.



გიორგი ახაიანი,
სოციალურ და
პოლიტიკურ
მეცნიერებათა
ფაკულტეტის
მესამეკურსელი

– პოლიტიკით დაინტერესებული ვარ, მაგრამ ვთვლი, რომ სტუდენტობა აქტიურად არ უნდა ჩაერთოს პროცესებში. მოვა დრო და შეიძლება სერიოზული სიტყვის თქმა მათაც შეძლონ პოლიტიკაში. მიმაჩნია, რომ საქართველოს თუ რაიმე ლუპავდა, ეს იყო გამოუცდელი ახალგაზრდობა, პოლიტიკურად მოუწინაველი ხალხი, რომელიც ძალიან ადრე „ერგებოდა“ პოლიტიკურ სიტუაციებს.

ახალგაზრდული ენოციებით დატვირთული ტვინი ობიექტურად და საღად ვერ აფასებს მოვლენებს. ამიტომ არაფერეტურად ვითარდებოდა მოვლენები. ჩვენ ჯერ უნდა გავანალიზოთ, გავხედოთ პროფესიონალებს და, ალბათ, შევძლებ ადმოქონებდით მონაწილეობის სიმაღლეს. გაცნობიერებული უნდა გქონდეს, რასაც ამბობ, უნდა განსაზღვრო – კონკრეტულ მოქმედებას რეალურად რა მოჰყვება. დღეს ზოგიერთი პარტი იცვრის სიტყვებს – ასე არ შეიძლება. ამან ბევრ საქმეში დაგვლუპა. პროტესტი შეიძლება გამოხატო ტრანსპარანტით, ქუჩაში დგომით, რუპორი დაიჭირო, მაგრამ, ჩემი აზრით, ეს არ არის სწორი. პროტესტი შეიძლება „შინაზო“, ისწავლო, ეს უფრო სერიოზული გადაწყვეტილება ჩვენი შხრიდან. თუ ადამიანი სწავლობს, ეს ნიშნავს, რომ იმ ქვეყანას გარანტირებული მომავალი აქვს. სტუდენტობა მაქსიმალურად უნდა ჩაერთოს სწავლაში. როცა მე გავხედობ პროფესიონალი, მეკონიუნდა, როგორ ვიმოქმედო, რა შედეგს მოუტანს ჩემი ნამოქმედარი საზოგადოებას.



გიორგი ახაიანი,
სოციალურ და
პოლიტიკურ
მეცნიერებათა
ფაკულტეტის
პოლიტოლოგიის
სპეციალობის
მეორეკურსელი


– პოლიტოლოგია ჩემი მომავალი პროფესიაა. დროს უმეტეს ნაწილს ამ მიმართულებით განათლებას ვუთმობ. სისტემატურად ვცნობი ქართულ და უცხოურ პრესას, ინფორმაციებს. თუ გავითვალისწინებთ, რომ დასავარგი არაფერი მაქვს, ამდენად არც შიშის სინდრომი მანუხებს, შესაბამისად, თავისუფალ ადამიანად ვთვლი თავს. ამის მიუხედავად, პოლიტიკურ მოვლენებში აქტიურად არ ვარ ჩართული. ქართველი პოლიტიკოსებიდან მაინცდამაინც არავინ იმსახურებს ჩემს სიმპათიას, აი, ევროპელები კი ძალიან მომწონს. ადამიანისთვის პოლიტიკოსობა არ უნდა იყოს გამდიდრების წყარო. საქართველოში, ხშირად, ეს ორი ცნება ერთმანეთთან ასოცირდება. იდეალური პოლიტიკოსი, გარდა იმისა, რომ უნდა იყოს ქვეყნის პატრიოტი, პროფესიონალიზმითაც უნდა გამოირჩეოდეს, რაც ჩვენს პოლიტიკოსებს ნამდვილად აკლიათ. ვთვლი, რომ სუსტია ჩვენი ოპოზიცია.



ვახა ხაჩიკიანი,
სოციალურ და
პოლიტიკურ
მეცნიერებათა
ფაკულტეტის
ურუნალისტიკის
სპეციალობის
პირველკურსელი


რეკოლუციის დროს აქტიურად ვმონაწილეობდი აქციებში. ახლა უფრო პასიური ვარ. თუმცა მორალურ მხარდაჭერას ვუცხადებ გირაკლიანის ოჯახს. ჩემი პოზიცია მაქვს ყველა საკითხთან დაკავშირებით. ალბათ, ჩემი დროც მოვა!

– ჩემი აზრით, ახალგაზრდობა ყველაზე პროგრესულად მოაზროვნე ძალაა. ამიტომ აუცილებელია, სტუდენტები თვალყურს ადევნებდნენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და აქტიურად მონაწილეობდნენ პოლიტიკური პროცესების წარმართვაში. გარკვეულწილად, შეიძლება ითქვას, ისინი თავის ზრს თამამად გამოთქამენ და თუ საჭიროა, ქმედით ღონისძიებებსაც მიმართავენ. გაგახსენებთ, როგორი აქტიურობით გამოირჩეოდნენ სტუდენტები „ვარდების რევოლუციის“ დროს. როდენ მნიშვნელოვანი იყო „ქმარას“ აქტივისტების გაგვინა საზოგადოებაში. რა რეზონანსი ჰქონდა თუნდაც ახლახან, აფხაზეთში დაკავებული სამი სტუდენტის გასათავისუფლებლად გამართულ აქციებს. მაგრამ საჭიროა მეტი აქტიურობა. ჩემი აზრით, კარგი იქნებოდა, შექმნილიყო სტუდენტური თვითმმართველობის ალტერნატიული ორგანო, რომელიც არავისმე არ იქნებოდა დამოკიდებული. ჩვენი სტუდენტობა ხშირად თვალს ხუჭავს განუკითხაობებზე. მე მგონი, „შიშის სინდრომი“ გარკვეულწილად მაინც არსებობს. თუმცა ეს პრობლემა მე არ მანუხებს. უარყოფითი დამოკიდებულება მაქვს სამართალდამცავი სტრუქტურების მიმართ.



თამარ ახაიანი,
სოციალურ და
პოლიტიკურ
მეცნიერებათა
ფაკულტეტის
ურუნალისტიკის
მიმართულების
პირველკურსელი

– ჩვენი საზოგადოება ჯერ კიდევ არასტაბილურია. ხშირად ისეთი რამ ხდება, რაც ლოგიკას არ ექვემდებარება. ბევრი ასეთი რამ მოხდა რევოლუციის შემდგომ პერიოდში. საზოგადოება, გარკვეულწილად, განზილებული დარჩა. უკეთესობის მოლოდინში ბევრი უარესი მოხდა. არ ვიცი, შექვენება თუ არა, მაგრამ მგონია, რომ საზოგადოების ინტერესი პოლიტიკისადმი განუღდა, ქვეყანაში ჯერ კიდევ ბევრი უსამართლობაა: მაგალითად, გირაკლიანის მკვლელობა. რაც შეეხება გიორგი ზერეკიძის საქმეს, ამ შემთხვევაში ვეთანხმები სასამართლოს გადაწყვეტილებას. საბოლოო ვაშმის, მართალია, ბევრი შენიშვნა მაქვს, მაგრამ უარყოფითი დამოკიდებულება ახლანდელი ხელისუფლების მიმართ ამ საკითხთან მიმართებაში არ გამაჩნია.



ვახა ხაჩიკიანი,
სოციალურ და
პოლიტიკურ
მეცნიერებათა
ფაკულტეტის
მესამეკურსელი

მიუხედავად იმისა, რომ ბატონ ბეჟანი მივიღე არსებითი მეცნიერებათა ანაკვეშირებული და განსაკუთრებული აზარტით გატანობს ქიმიური ექსპერიმენტების შედეგებს, საუბრის ყველაზე სასიამოვნო ნაწილს მინც იჯახი და ორი ვაჟი – ლამა და ჯაბა აღმოჩნდა. მამა სამეცნიერო მუშაობითაა დაკავებული, ბიჭები კი მასზე უკეთ ერკვევიან, რა ხდება საქართველოში. მაგალითად, თბილისში ორი კვირით ჩამოსულ ბატონ ბეჟანს მკორე დღესვე დაუკავშირდა შვილი და ჭიბთა: – მამა, გავიგე, აეროპორტში წყალი ჩასულა და როგორაა საქმე, ავეთბენ თუ არაო... ყველაზე მეტად, თურმე, სპორტით ინტერესდებიან.

– უფროსს, ლამას, ინტერნეტში აქვს ქართული ტელევიზიები, რუსთავი-2, 1 არხი. განსაკუთრებით ადევნებს თვალს ქართულ ფესბურს – იცის, მიუღ დედამინაზე რომელ კოლუმში რამდენი ქართველი და როგორ თამაშობს. გვხვდა, სკოლაში ამ თემაზე ხშირად საუბრობენ. როგორც ჩანს, ამით გამოხატავს მოძალეზულ პატრიოტიზმს. შესტაფონის სტადიონზე ბურთი კარის ბაღში ვერ კარგად

შეგორებული არ არის, რომ სტადიონზე დაეცნებული ერთადერთი ვიდეოკამერისა და სწრაფი ინტერნეტის საშუალებით გერმანიამო უკვე იცის ამის შესახებ...

რამდენიმე კვირის წინ ჩემს მეუღლესა და შვირის ვაჟთან ერთად (ჯაბა თავგამოდებული დიუდოსტია და მომავლოლიმპიადებზე საქართველოს სახელით გამოსვლაზე ოცნებობს) ჰამბურგში მიუდონისტა მსოფლიო თასის გათამაშებას ვესწრებოდი. ტურნირის ყველაზე გამოჩენილი მონაწილე იყო ჩვენს მინაზე დაბადებული და აღზრდილი ჯარჯი ზვიდაური. მან ტურნირი ძალზე ლამაზად მოიგო. გამარჯვებული პლატინაზე მთელი დრო მან ფეხზე ადგა. სამივე ჩვენგანს თვალზე ცრემლი გავდგა, როდესაც გამოაცხადდა გამარჯვებული – ილიას ილიაის ნიკოლაუსი, მის საბატყვემელებად ანაზზე ზევით მივცავდა საბერძნეთის დროშა და დარბაზში უღერდა საბერძნეთის ეროვნული ჰიმნი. ქალთა შორის შეჯიბრება აბსოლუტურ წონით კატეგორიაში მოიგო თვა დონლუზაშვილმა. ისევე ნამოვდექით გამარჯვების პატყსაცვამ მთელი დრო მან, ააფრიალეს რუსეთის დროშა და დაუკრეს ჩვენთვის კარგად ცნობილი (რუსეთის) ჰიმნი... ჯაბა მთელი გზა (ჰამბურგიდან მიუნსტერამდე 3 საათზე მეტი ვიძგზავრეთ) მეკითხებოდა, რატომ დატოვებს ამ დამინებმა სამშობლო ან რატომ არ ბრუნდებიან ახლა უკან. მას ვუსმენდი და მეამაყებოდა, რომ მე დღეს კვლავ საქართველოში ვარ და გარდა ამისა, ჩემი უკლებლო ყველა სამეცნიერო ნაშრომი და, მათ შორის, ჩემი მონოგრაფია, რომელიც ინგლისში და ამერიკაში გამოიცა და ჩემს მეუღლესა და შვილებს მივუძღვენი, გამოქვეყნებული მაქვს ჩემი ალმა მატყრის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელით (თუქრა ნაშრომთა უმრავლესობის შესრულება უცხოეთში მომიხდა).

პრესა

რას წერენ შალვა ნუსუბიძე და მისი თანამებრძოლები ურნალში „ქართველი სტუდენტები“?

მანა ტორაძე

ილია ჭავჭავაძის სახელობის საქართველოს პარლამენტის ეროვნული საჯარო ბიბლიოთეკის ქართველოლოგიის განყოფილებაში დაცულია ვიწროლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ორგანოს, შურნალ „ქართველი სტუდენტის“ პირველი ნომერი, რომელიც 1920 წლის 26 იანვრითაა დათარიღებული. – ამ შურნალის შესახებ ისტორიკოსმა მხსტანა მუშულაძე გვაცნობდა.

შურნალი გამოცდა სარედაქციო კოლეგიაში (რედაქტორის ვინაობა მითითებული არ არის). შურნალის დაუბრკოლებრივ გამოსვლის ხელშეწყობისათვის სარედაქციო კოლეგია მადლობას უხდის ასოთამაშებებს: ა. კალანდარიშვილს, კ. ბურჯანაძეს, ი. ზომერეკსა და გ. ბოლქვაძეს.

„ქართველი სტუდენტის“ პირველი ნომერი თექვსმეტგვერდიანია. ყდაზე, ჩუქურთმის ფონზე, გამოსახულია პირველი კორპუსის ხედი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან.

„ქართველი სტუდენტის“ 1920 წლის პირველი ნომერი გამოქვეყნებულია: სარედაქციო შურნალი „სტუდენტთა დღე“ ქრისტეფორე რაჭველიშვილის „სტუდენტობა“, ვ. ხარაძის „26 იანვარი“, არალო ფერასის „მეტი ყურადღება“, „სტუდენტის უნივერსიტეტის ისტორიიდან (ზოგიერთი თარიღი)“, „სტატისტიკური ცნობები სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა შესახებ“, გ. ფ.ს. პროფ. იოსებ ყოფმძე (1822-1919), შალვა ნუსუბიძის „ერთი გვერდი ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიიდან“, სამსონ ფორცხალავას „ჩემი სტუდენტობის დროიდან“.

სარედაქციო შურნალში, „სტუდენტთა დღე“, აღნიშნულია, რომ 26 იანვარი „ღირსაწვნი და შესანიშნავი დღეა მთელი ქართველი ერის და კერძოდ ქართველ სტუდენტთა ცხოვრებაში, რადგანაც სწორედ ამ ორი წლის წინთ (იანვრის 26-ს 1918 წ.) აღსრულდა სახუკვარი ზრახვა, სინამდვილედ იქცა ოცნების აზრთა და ფიქრთა ხვეულში სააზროლო ნეტარი იდეა: საბირელო ჩაყარა ჩვენი ეროვნულ-კულტურული ცხოვრებისა და აღორძინების კერას, მეცნიერების უმაღლეს ტაძარს, – ქართული უნივერსიტეტი“.

შურნალში ნათქვამია, რომ ამ დღის აღნიშნავად „ქართველი სტუდენტობა მარ

თავს „სტუდენტთა დღეს“ და თავის უსაზღვრო სიხარულის და აღტყების განცდას ზემოთ ამცნობს მთელ ქართველ ერს“.

სარედაქციო შურნალის ავტორები ნაზგასმით აღნიშნავენ, რომ იმ პერიოდის სტუდენტობას მძიმე და აუტანელ პირობებში უხდებოდა ცხოვრება და „მეცნიერული მუშაობის წარმოება“. იქვე გამოთქმულია იმედი, რომ, რადგან ასრულდა ყველაზე დიდი მზანი და დაარსდა ქართული უნივერსიტეტი, სინელებს მალე გადალახვენ და „ქართული უნივერსიტეტის საშუალებით მრავალსაუკუნეთა განმავლობაში განმტკიცებული ჩვენი დიადი ეროვნული კულტურა კვლავ აყვავდება“.

დღეს მითხველს ვთავაზობთ ორ მასალას შურნალ „ქართველი სტუდენტის“ 1920 წლის პირველი ნომრიდან.

შურნალში დასტამებულია ქრისტეფორე რაჭველიშვილის ძალზე საინტერესო შურნალი „სტუდენტობა“, რომელშიც აღწერილია ქართველი სტუდენტების ყოფა რუსეთის სასწავლებლებში, ნათქვამია, რომ იმ ეტაპზე მთელი იყო ქართველი სტუდენტობაზე შურნალი, რადგან იგი არ წარმოადგენდა „ნამოქნილ, გარკვეულ სახეს, ისევე, როგორც ქართველი ინტელიგენციისა. ტყუილად კი არ გავურბოდა ქართველი მწერალი მის განსახიერებას: ქართველი ინტელიგენტის ტიპი აქამდე არ ყოფილა, იგი ახლა უნდა დაიბადოს მხოლოდ“.

ამ „დაბადებაში“, ცხადია, ავტორი უნივერსიტეტს ავისრებდა უდიდეს როლს.

ამავე შურნალში ქართველი სტუდენტობა შედარებულია სხვა ქვეყნების სტუდენტობასთან და მიგნებულია საუკლისხმო მსგავსებები და განსვავებები. განსაკუთრებით გამოკვეთილია რუსეთის სასწავლებლებში წასული ქართველი და უკრაინელი სტუდენტების ურთიერთანადობა, რასაც იგი ეროვნული თვითშეგნების მაღალი დონით ხსნის: „ქართველი სტუდენტი უახლოვდებოდა, განსაკუთრებით, ბოლო ხანებში, დამაგრული ერების შვილებს. და უნდა ითქვას, რომ მათში იგი განიროვნდა ერთნაირ პოლიტიკური სიმწიფით. მას უფრო ნათლად ჰქონდა ჩამოყალიბებული მიზნები, ვიდრე მის აშანავებს. ამას გრძობდნენ, მაგალითად, უკრაინელები“...

მიმოხილვითი ნაწილის შემდეგ ქრისტეფორე რაჭველიშვილი სიამაყის გრძობით

აღნიშნავს, რომ „ქალა მდგომარეობა შეიცვალა. ქართველ ახალგაზრდობას საკუთარი მეცნიერების ტაძარი აქვს და მანაც იგი უნდა დააფასოს. თავისუფალ საქართველოში ქართველმა სტუდენტმა მალა უნდა ასწიოს განათლების ჩირაღდიან და ცოდნის სინეებით გაანათოს სამშობლო“.

შურნალში წარმოდგენილ მასალათაგან აღნიშნავთ შალვა ნუსუბიძის შურნალი „ერთი გვერდი ჩვენი უნივერსიტეტის ისტორიიდან“. შურნალში იგი ქართველ საზოგადოებას ასტყნებს იმ „უფრხაურს“, რომელიც გამოიწვია პეტროგრადში „ქართველ მოწინავე ელემენტების განზრახვამ“ უნივერსიტეტის დაარსების შესახებ.

შალვა ნუსუბიძე იხსენებს, როგორ ხვედობდა რუს მეცნიერებს და ესაუბრებოდა ქართული უნივერსიტეტის დაარსების საკითხებზე, როგორი „სიბრახე“ გადაუღლიდა ყველას სახეზე, როცა ხვედებდნენ, რომ „საქართველოში ვიღაცა გათავზედებულა და ამ პოლიტიკურად და კულტურულად „უსუსურ“ ერს უნივერსიტეტს უფსნის“.

იგი წერს – „განათლების მინისტრი ვინახულე. მან ნაძალადევი თავზიანობით მიმილო... მიკითხავდა ლექციას იმის შესახებ, თუ რა უნაყოფო და მიუფიქრებელი ნაბიჯი გადაუღდას „ზოგიერთ ქართველ ინტელიგენტებს“. სხვას რომ თავი დაგანებოთ, სიქვა მინისტრმა, როდესაც ჩემი პასუხი მოისმინა, თქვენ არც მეცნიერული ენა გაქვთ, ტყემიზოლოგია. იფიქრეთ რამდენი დრო დაიკარგება ყველა ამის შექმნაში და შექმნით კი?“

შალვა ნუსუბიძე რუსი ჩინოფიკების ისტორიას იმით ხსნის, რომ მათ „ეპნობდა“ ქართული უნივერსიტეტის, თუმცა ამას არ ამყლავდნენ და მალულად ცდილობდნენ რუსული უნივერსიტეტის გახსნას „ენახოთ, რამდენ ხანს იარსებებს თქვენი უნივერსიტეტი“.

უნივერსიტეტის დაგმარსავლეთა მიზნები როგორ მოქმედებს მისი კულტურული, დღეს ჩვენი დიპლომი არავის დასანუნი არ იძნებოდა

– „სტუდენტის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ორგანოს“ – შურნალ „ქართველი სტუდენტის“ პირველი ნომერში დაბეჭდილი შალვა ნუსუბიძის შურნალი აღნიშნავს იყო მისი ქალიშვილისთვის, პროფე

სორ თამარ ნუსუბიძისთვის, რომელიც შალვა ნუსუბიძის ავობისათვის მამაზე სანუკვარ მსალეებს აგროვებს. ქალბატონი თამარი ამ შურნალით დაინტერესდა და თავისი აზრიც გავსტყობდა.

თამარ ნუსუბიძე: – ამ შურნალს აღმოჩნა ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა. მე ვაგროვებ ყველაფერს, სადაც ორი სიტყვა მინც წერია ცუდი ან კარგი კარგა ნუსუბიძის შესახებ. კარგი არქივი მაქვს და წერილსაც იმ არქივს მივუხატებ. აქ, მამაჩემის ხასიათიდან გამომდინარე, ბევრი კარგი დეტალი შეგინწნე. უნდა გიხარიათ, რომ თაობა, რომელიც სათავეში ჩაუდგა უნივერსიტეტის დაარსებას, უკვე შეფასებულია. მამინ ყველანი ახალგაზრდები იყვნენ, მათ შორის ყველაზე ახალგაზრდა იყო 29 წლის შალვა ნუსუბიძე.

ეს თაობა აღტყებული, რომანტიკული განწყობით მოვიდა და ერთბაშად დაინყო ყველა საქმის კეთება: იქნებოდა ეს უნივერსიტეტისათვის სახელმძღვანელოები გამოცემა, ბიბლიოთეკის და გამოცემების მოწოდება, შურნალისთვის ხელის შეწყობა თუ სტუდენტური კადრების მოზადება.

არ გვინდა, რომ რუსეთის რევოლუციის მაღლიერები ვიყოთ, მაგრამ მამინ მართლაც ისტორიული შანსი მოგვეცა, რადგან რუსეთს ჩვენთვის არ ეცალა. ბოლშევიკები ანგრევდნენ თავის ქვეყანას. მოწინავე ქართველებმა კი ამით ისარგებლეს და რუსეთის წინაშე დასვეს საკითხი, მიეცათ უნივერსიტეტის გახსნის უფლება.

მოგესტყებათ, საქართველოში უნივერსიტეტის გახსნა რუსეთზე იყო დამოკიდებული. ჩემთვის ძალიან საინტერესო იყო იმის ნაკითხვა, თუ როგორ გვებრძოდნენ, როგორ არ უნდოდათ ქართული უნივერსიტეტი, როგორ იგრძნობოდა მათ დამოკიდებულებაში – თქვენ ვინ ხართ, რა უნივერსიტეტი შეგიძლიათ დააარსოთ. სხვათაშორის, რუსეთის ეს დამოკიდებულება – რა ერი ხართ, რამშელა პრეტენზიები გაქვთ და ა.შ., დღესაც გრძელდება.

მამინ ამას გამბედაობა სჭირდებოდა. თუმცა მინც 1920 წელი იყო და ვერ კიდევ არავინ ფიქრობდა, რომ საქართველო დაეშობოდა და ისევე მონობის ქვეშ აღმოჩნდებოდა.

განვითარებული მოვლენების მიუხედავად, დასალოებით ოცდაათიან წლებამდე, გარკვეული თავისუფლება იყო. უნივერსიტეტის დამაარსებლები მივლენებით მიდიოდნენ უცხოეთში, არსებობდა ურთიერ თავმშირები სხვა ქვეყნების უმაღლეს სასწავლებლებთან.

რასაკვირველია, რუსეთის თვალთ რომ შევხედოთ, საქართველო იყო ბატარა ქვეყანა, რომელსაც, მიუხედავად მისი დიდი წარსულისა, აღარავინ შერჩენოდა, მაგრამ იმ თაობას ჰქონდა ქართული შემართება და კატეგორიული გადაწყვეტილება. თუ ჩვენ ამ მომენტს ხელნად გავუშვებთ, საქართველოში უნივერსიტეტი აღარასოდეს იქნება – ფიქრობდნენ მისი დამაარსებლები.

სწორედ შალვა ნუსუბიძე და კიდევ რამდენიმე მეცნიერი იყო ჩართული იმ ვჯვფში, რომელიც კერესკისთან შევიდა და ნებართვა აიღო. არც ერთ ინსტანციას არ ტოვებდნენ, ოღონდ ეს საქმე გაეტანათ. დიდი ბრძოლით, მაგრამ მინც გამარჯვდა. მიუხედავად იმისა, რომ შუმდეგ საქართველოში საქმე უკლამა წავიდა, ამ თაობის მცველობამ თავისი შედეგი გამოიღო. დღეს ჩვენ გვაქვს უნივერსიტეტი.

ეს თაობა, ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, საფუძველს უყრიდა იმ ევროპული სტანდარტების უნივერსიტეტს, რომელსაც ჩვენ ვიცნებობთ და რომელიც დღეს გვინდა რომ გვეწინდეს. მაგისტრატურა, დოქტორანატურა, საერთაშორისო ღირებულების დიპლომი და ა. შ., ვერ კიდევ მამინ ყალიბდებოდა. კომუნისტებმა და უკვიცმა პოლშევიკებმა საქართველოს წინე დააკარგინეს. იმ თაობის მინეები რომ ბოლომდე შესრულებულიყო, დღეს ჩვენი დიპლომი არავის დასაწერი არ იქნებოდა. შალვა ნუსუბიძე, რომელსაც ის ევროპიდან დაბრუნდა, ბრძანა: „ჩვენ არ გვაქვს საქმე ისე, რომ ქედი მოვიზიაროთ ევროპის საფიფრსიტეტო განათლებისა და მეცნიერების წინაშე. ჩვენ თავისუფლად შეგვიძლია, მათ ვესაუბროთ, როგორც თანასწორი თანასწორს“ იგონებენ კიდევ, დომ სემინარი, რომელიც დააარსა შალვა ნუსუბიძემ და რომელსაც გარზარდ ფილოლოგების მთელი თაობა, ტოლს არ უდებდა ევროპული უნივერსიტეტების წამყვან მეცნიერთა სემინარებს. ისინი მუშაობდნენ ევროპულ დონეზე და შეიძლება უკეთესადაც კი.

სიმპოზიუმი ლიტერატურათმცოდნეობაში ერთმანეთი გააუქმეს



ჯერ კიდევ მაშინ ასე გაცვდა ეს სიტყვა. ახალგაზრდების ინტერესებიც, ძირითადად, ამ წრეში ტრიალებს. მათი შემოქმედება ძალიან ჰგავს 70-იანი წლების ქართველი მწერლების ნაწარებს. ბევრი თამაშია, ბევრი ირონია.

მე ვფიქრობ, რომ მიუხედავად ვეროპაში ლიტერატურა დიდი სამზადისის წინაშეა. პოეტები მუხის მოლოდინში არიან და მაინც არ კარგავენ დროს — მუშაობენ სიტყვაზე, ფიქრობენ, თამაშობენ ბევრს და თითქოს რაღაც დიდისთვის ემზადებიან — ასეთი შთაბეჭდილება რჩება კაცს.

რომონტ ბაგოდინოვი
მწარეპი გომონის „ჰინა-ლიან“, ისა ბაგოდინოვი
სოლო ახლა გორხისის
კონფორან



მიხეილ შარაძე, პროფესორი:
— სულ სამი რამ არსებობს ქვეყანაში: ეს არის მეცნიერება, ხელოვნება და თეოლოგია. მოგესხენებათ, თეოლოგია — ეს ისეთი რამ არის, რისი ინტერესის ობიექტი არის აბსოლუტი და ადამიანის გონება მზად არ არის მის შესაქმნად. ჩვენ ვცდილობთ აბსოლუტის, ლტერის შექმნას მხოლოდ და მხოლოდ იმ საშუალებით, რომელიც მის მიერ ჩვენს გარშემოა შექმნილი. ამიტომ ეს შემოქმედება არ არის, ანუ ამ შემთხვევაში ვერ ვისაუბრებთ მეცნიერებაზე. ვერ შევნიშნავთ უფლის გზებს...

რაც შეეხება მეცნიერებას და ხელოვნებას, მათ შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. მეცნიერებას აინტერესებს საგანი, მოვლენა, ხდომილება თავისთავად, ხოლო ხელოვნებას — საგნისადმი, მოვლენისადმი ინდივიდის დამოკიდებულება. ხელოვნების შემქმნელის ერთადერთი გზა ისევე ხელოვნებაში არსებული დარგებია: მაგალითად, როგორცაა კრიტიკა. კრიტიკა არ არის მეცნიერების დარგი. კრიტიკა — ეს არის ხელოვნების დარგი, ისევე როგორც პოეზია, პრიზა, დრამატურგია, სახვითი ხელოვნება, მუსიკა და ა. შ. ყველას თავისი კრიტიკა აქვს, მოგესხენებათ. ამის დაფიქრება არაფრით არ შეიძლება. ანუ, არ შეიძლება ადამიანი ლიტერატურათმცოდნეობაში ოპერირებდეს ისეთი ცნებით, როგორცაა მაგალითად, — კარგი, ცუდი, მაღალმხატვრული, დაბალმხატვრული... რადგან ეს ყველაფერი უკავშირდება გემოვნებას. როგორც კი საქმეში ჩაერევა გემოვნება, მეცნიერება მაშინვე უნდა გადგეს უკან. მაგალითისთვის გავიხსენოთ გალაკტიონის „ლურჯა ცხენები“. ამ შედეგიდან მეცნიერებას შეიძლება აინტერესებდეს მხოლოდ მისი ვერსიონი ან პოეტური მხარე, ანუ ლექსი, მაგრამ პოეზია არა, რადგან მეცნიერება ვერასოდეს ვერ შეძლებს პოეზიის ანალიზს. პოეზია არის ის, რაც უშუალოდ ზემოქმედებს თქვენს გრძნობებზე, თქვენს სულზე, ამიტომ ეს მეცნიერების შესწავლის პრობლემა არ არის.

ამდენად არის მეცნიერება ვერიფიცირებადი. ხელოვნება კი აბსოლუტურად სუბიექტურია და ჰგავს სიყვარულს. ადამიანი მეცნიერულად ვერასოდეს ახსნის — რა არის სიყვარული? როდესაც აღმოაჩინეს, რომ სიყვარულის დროს ადამიანის ორგანიზმში ადრენალინი მატულობს, დაადგინეს დონა და ჩაატარეს ექსპერიმენტი: ადამიანებს ორგანიზმში ადრენალინი შეუყვანეს, მაგრამ ამაზე სიყვარული კი არ გამოიწვია, არამედ გამოიწვია შიშები და სხვადასხვა რამ. ამით იმის თქმა მინდა, რომ მეცნიერებამ თავისი ადგილი უნდა იკავოს. ის არ უნდა წაეპოტინოს იმას,

რაც განეკუთვნება ხელოვნების სფეროს და რაც განეკუთვნება აბსოლუტს — ეს ძალიან მნიშვნელოვანი მომენტია. შესაბამისად, ჩვენ უნდა გამოვტყუდოთ, რომ მეცნიერება არ არის ყოვლისმომცველი, მაგრამ იმავდროულად უნდა ვალიაროთ, რომ მეცნიერების როლი სულაც არ არის მოკრძალებული — ყველა მეცნიერება ძლიერი და კომპეტენტურია თავისი მეთოდის ფარგლებში, ამ მეთოდის იქით იწყება ვარაუდების სფერო. ვარაუდები კარგია ლიტერატურაში, მხატვრობაში... მაგრამ ეს ვარაუდები, თუ მათ რაიმე მეცნიერული საფუძველი არ გააჩნიათ, ძალიან საშიშია მეცნიერებაში.

პოსტმოდერნისტული
ტენდენციები ლიტერატურათმცოდნეობაში
დაქალაქული არ არის

ჩვენ მივადექით მთავარ პრობლემას — რა უნდა შეინახოს თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობა? მიუხედავად ხელოვნებაში და, მათ შორის ლიტერატურათმცოდნეობაში, უცებ მოვიდა უცნაური და მოულოდნელი რამ — პოსტმოდერნიზმი, რომელსაც მეცნიერებასთან მხოლოდ სიტყვიერი შეხება ჰქონდა. ეს არ იყო ნამდვილი მეცნიერება, ეს ფსევდო მეცნიერება გახლდათ (ქიმიკა და ალქიმიკა რომ შეადაროთ ერთმანეთს, ისე). და აი, დაიწყო ძალიან დიდი ზეგავლენა ადამიანების გემოვნებაზე, მათ შეხედულებებზე. ჯერჯერობით, პოსტმოდერნისტული ტენდენციები ლიტერატურათმცოდნეობაში დაძლეული არ არის. ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი, რაც ხდება, არის ის, რომ დამთავრდა ის ეპოქა, როდესაც „ლიტერატურათმცოდნეობის“ ძირითადი საქმიანობა ამა თუ იმ თხზულების მოკლე შინაარსის მოყოლა და შემდეგ არაიმანენტული კანონების მიხედვით მათი განხილვა იყო. დღეს ყველა ცდილობს, რა-ზედაც იყო არ უნდა იმუშაოს, იმ მიმართულების, იმ თვალსაზრისის იმანენტული წესებიდან გამოვიდეს — ეს უკვე ისე ანტიკონვენციურია ლიტერატურათმცოდნეობას, რომ თქვენ შეგიძლიათ ცვლევარს რაღაცაზე მას დაეთანხმით ან არ დაეთანხმით. სამაგიეროდ, ყოველთვის იცით — მეცნიერი რა მნიშვნელობით ხმარობს ამა თუ იმ ტერმინს, რა შინაარსს დებს მასში და როგორია მისი კვლევის მეთოდი.

პოსტმოდერნიზმის არსი კარგად არის გამოხატული ერთ ასეთ ანეკდოტში: ჩუქჩა ზის და რაღაცას ჭამს. გეოლოგი ეკითხება: — ჩუქჩა რას ჭამ? რას ჭამ და შოკოლადსო, — მიუგო ჩუქჩამ. გეოლოგი კვლავ ეკითხება: — რატომ აქვს შენს შოკოლადს ასეთი სუნი? იმიტომ, რომ ხელმეორედ ვჭამო. — პასუხობს ჩუქჩა. — ეს არის სწორედ პოსტმოდერნიზმის არსი. ეს არის „უცნაურების“ ლიტერატურა, მაგრამ ამ ლიტერატურას ადამიანები, მწერლები და ქვეყნები სხვადასხვანაირად იყენებენ. არსებობს წარმოდგენა, რომ თითქოს პოსტმოდერნიზმმა საზოგადოების ერთგვარ გაერთიანებას შეუწყო ხელი და ბოლო ეროვნული ელიტარული ლიტერატურას. მაგრამ ეს ასე სულაც არ არის. სასიხარულოა ჩემთვის ის, რომ როგორც ყველა

თამაშს, მათ შორის ყველა ბინძურ თამაშსაც, აქვს თავისი წესები, აქვს ასევე დარღვევის წესები. ანუ ახლა ნელნელა ხდება პოსტმოდერნიზმის თამაშის წესების დარღვევა იმ თვალსაზრისით, რომ მისმა პიკმა უკვე ჩაიარა: ადამიანებს უკვე მოეწონათ არა მარტო სუროგატები, არამედ მოენატრათ რაღაც ნამდვილი, რაც დაკავშირებულია მათ სულთან. ეს მომენტები საკმაოდ კარგად არის ასახული დღევანდელ ლიტერატურაში მსოფლიო მასშტაბით. ქართულ ლიტერატურაში, ამ მხრივ, შეიძლება შედეგები ვერ იქნება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ჩვენი ლიტერატურა საკმაოდ კარგად იკითხება — ეს ხომ, თავისთავად, რაღაცაა ნიშნავს.

თანამედროვე ლიტერატურის პრობლემები

— ყველაზე მნიშვნელოვანი არის ის, რომ დღევანდელ ლიტერატურაში ნელნელა უკან დაიწია სოციუმის თემა, რაც სწორედ ჩრდილოეთის სოციალურად ადამიანს და ადამიანი ხდებოდა საინტერესო იმდენად, რამდენადაც ის ავად თუ კარგად სოციუმს უპრობლემოდ მოდიოდა. დღეს ლიტერატურას აინტერესებს არა უბრალოდ ადამიანი, არამედ კონკრეტული ადამიანი, და რაც ყველაზე მთავარია, აინტერესებს ადამიანი მართლაც არეში. „მართლაც არე“ გრიგოლ რობაქიძის მიერ შემოღებული ტერმინია, რაც გულსხმობს ისეთ სემანტიკურ ველს ან კონტექსტს, სადაც ნებისმიერ სავანს, მოვლენას, ხდომილებას, სიტყვას აქვს ცალსახა მნიშვნელობა, ანუ შეუძლებელია მისი მრავალმნიშვნელოვნად გაგება. დღეს ადამიანი ხდება სწორედ ამ მართლაც არეში. მე ვერ ვიტყვი, რომ განსაკუთრებულ სულიერ სიღრმეებამდე მივდივართ, მაგრამ ადამიანი აღარ არის ალარაფრის, მათ შორის სოციუმის, ჭანჭკვი. ადამიანი გახდა ფსევდო. ამიტომ განწმად ჩვენს ლიტერატურაში ადვილი თავისუფალი ადამიანი.

ადამიანი ხდება საინტერესო თავისი ნაკლით, თავისი მანკაღიერი მიდრეკილებებით... იგი ძალიან ადვილად იცვლის ხოლმე მხატვრულ ლიტერატურაში ფონს, სიტუაციას და ა. შ... ერთი და იგივე ადამიანი არის ხოლმე ჩაყენებული ხან რეალურ, ხან აბსურდულ სიტუაციაში. ჩვენს დღევანდელ მსოფლიო ლიტერატურაში ირეალური, მისტიური და აბსურდული გარემოებები ადამიანის გარშემო ისევე ირევა, როგორც თქვენს სიზმრებში და ხანდახან თქვენს ცხოვრებაში — ეს არის დღევანდელი ლიტერატურის ერთერთი მთავარი მახასიათებელი.

მე მხარია, რომ ლიტერატურა მისცავს იმას, რომ ნებისმიერი ადამიანი საინტერესო არა იმით — რას წერს, რას ხატავს, რას აწერს, რა პოლიტიკურ დებულებებში იღებს მონაწილეობას, არამედ თავისთავად უკვე მისი არსებობის ფაქტით. ყველა ეროვნული ლიტერატურა ამ საკითხს სხვადასხვაგვარად წონის. ჩვენი ლიტერატურისთვის ეს ძალიან რეალური მახასიათებელია.

მე-11 გვერდი

3-5 აპრილს საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის სხდომათა დარბაზში შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ეგიდით გაიმართა ლიტერატურათმცოდნეობის საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე: ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემები. სიმპოზიუმს სტუმრობდნენ ამ სფეროს წარმომადგენლები საქართველოს რეგიონული უნივერსიტეტებიდან, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. სიმპოზიუმი გახსნა ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა, პროფესორმა ირმა რატიანიმ, რომელმაც აღნიშნა, რომ ლიტერატურის ინსტიტუტი წარმოადგენს ქართული ლიტერატურისა და ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემების კვლევის ცენტრს საქართველოში. მისი თქმით, ბოლო პერიოდში ინსტიტუტი აქტიურად დაადგა განათლებისა და ინოვაციების გზას.

ნიმუშა კაკულია

„ფუნდამენტურია გამოყენებითი კვლევები ქართული ლიტერატურის, ლიტერატურის თეორიისა და ფოლკლორის მიმართულებით. ხორციელდება ამ კვლევების შედეგების დანერგვა პრაქტიკაში. ასეთი ღონისძიებები ხელს შეუწყობს ფილოლოგიური კვლევების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სამეცნიერო პროექტების რეალიზებას, რაც, თავის მხრივ, ფილოლოგიურ სკოლას მისცემს იმის საფუძველს, რომ ჩაერთოს მსოფლიოს ჰუმანიტარულ პროცესებში.“ — განაცხადა ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორმა.

სიმპოზიუმზე მონაწილეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუამ კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ თსუ-ს კონფერენციაში მუშაობის საშუალება მიეცა, რითაც თსუ-სა და კვლევით უნივერსიტეტებს შორის თანამშრომლობის კარგი პრეცედენტი ჩვიდრდება.

„ვფიქრობ, ის ხელოვნური გამოგონა და თვითნებობისაგან ერთგვარი მისწრაფება, რაც დამახასიათებელი იყო ქართული სამეცნიერო და უმაღლესი საგანმანათლებლო სივრცისათვის, წარსულს ბარდება. ამ ფორმით თანამშრომლობა მიმართა ოპტიმალურ საშუალებად, რათა უმაღლესი სკოლა და კვლევითი დაწესებულებები ერთმანეთს დაუახლოვდნენ. ამ შემთხვევაში მოგებული რჩება ყველა. ლიტერატურათმცოდნეობა, თავისთავად გულსხმობს იმას, რომ ჩვენი კვლევა თეორიულ სიღრმეებზე იყოს ორიენტირებული და, ამავე დროს, ის იყოს ძალიან პრაქტიკულიც. ყველაზე პრაქტიკული სწორი თეორიააო, — ნათქვამია და მე დარწმუნებული ვარ, რომ ლიტერატურის თეორიის განვითარება, ზოგადად, მეცნიერების განვითარების ერთერთი პრიორიტეტული მიმართულება უნდა იყოს.“ — აღნიშნა რექტორმა თავის გამოსვლაში.

სიმპოზიუმზე ლიტერატურათმცოდნეობის თანამედროვე პრობლემებზე არაერთი საინტერესო ინფორმაცია, იდეა, აზრი გაცხადდა. მასში მონაწილეობდნენ სხვადასხვა სკოლის, მიმდინარეობის წარმომადგენლები, რომლებიც კვლევის სიღრმეს სხვადასხვა კუთხით ეძებენ, თუმცა, როგორც კონფერენციის ერთერთმა მონაწილემ მიხეილ ქურდიანმა თქვა, — „ეს სიმპოზიუმი არის ერთგვარი „პარადი“, რომელსაც „ერთმანეთის დათვალიერების“ მნიშვნელობა აქვს.“

სიმპოზიუმის დასრულების შემდეგ

თანამედროვე ლიტერატურათმცოდნეობის პრობლემებზე რამდენიმე მონაწილეს ვესაუბრეთ. კონფერენციაზე განხილულ მოხსენებათა შესახებ ინფორმაციას და ლიტერატურათმცოდნეობის დარგში მიმდინარე სამეცნიერო მუშაობაზე ცნობებს ჩვენი გაზეთის მოდერნო ნომრებში იხილავთ.

პოეტური მუხის მოლოდინი არიან



ლევან ბრეზუაძე, ლიტერატურათმცოდნე:

— დღევანდელი ლიტერატურული პროცესი ძალიან საინტერესოა. ამას ჩვენ ვეძახით პოსტსაბჭოური პერიოდის ქართულ ლიტერატურას, რომელიც მართლაც ძალიან განსხვავდება იმისაგან, რაც საბჭოთა პერიოდში იყო. თუმცა ეს განსხვავება ყოველთვის დღევანდელი ლიტერატურის სასარგებლოდ არ მეტყველებს. პირველ ყოვლისა, რაც თვალში გეცხება — ეს არის ბილწსიტყვაობისა და ფარგონის მოძალბა. ფარგონს კიდევ აიტანს კაცი. რაღაც დონით ყველაფერი კარგია, მაგრამ მეტისმეტი — არ ვარგა. როცა ყველაფერი ერთნაირად კედდება, ერთფეროვანი ხდება და მოსაწყენია. ამაზე ბევრი იწერება, ამ ფენომენს ჩვენ ვიკვლევთ. საერთოდ, ეპოქას, რომელშიც ვცხოვრობთ და ამ ლიტერატურასაც პოსტმოდერნიზმის სახელწოდებით მოვიხსენიებთ. ეს არის ლიტერატურა, სადაც თამაში არის ნამდვილი და უმთავრესი. ადრე, ჯერ კიდევ საბჭოთა პერიოდში, ამ მხარით წერდა ბევრი ქართველი პროზაიკოსი და პოეტი. მაგალითად, გურამ დოჩინაშვილის პროზაში, ვახტანგ ვაგახაძის ლექსებში განსაკუთრებით შეიმჩნეოდა პოსტმოდერნისტული თამაშის ელემენტები, თუმცა მაშინ ეს სახელი ჩვენში არ იხმარებოდა და არც ვიცოდით, რომ ეს იყო პოსტმოდერნი.



ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი ეზარ ჯგერენია, ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი ირმა რატიანი და პოეტი ქრის მიჩელი

80-10 გვერდიდან

არსაპოზს თუ არა
საქართველოში მასობრივი
ლიტერატურა?

საქართველო ძალიან პატარა ქვეყანაა იმისათვის, რომ აქ მასობრივი ლიტერატურა არსებობდეს – ჩვენ 5 მილიონიც არ ვართ. ჩვენთან მკითხველის რაოდენობა ძალიან შეზღუდულია. ჩვენ, ფაქტობრივად, ერთმანეთს ვუწერთ და ვუკითხავთ... დაიღუპა ხელი და მითხარით, თქვენ გინახავთ ქართველების ხელში მასიურად წიგნი? მასობრივი ლიტერატურა დიდ ქვეყნებში, მათ შორის რუსეთში არსებობს. მეტროს ვაგონში ზის წერა-კითხვის ნაკლებად მცოდნე რუსი და ხელში უჭირავს წიგნი. ჩვენთან უყურებენ სერიოზულად. დამისახველეთ დღეს ერთი ქართველი მწერალი მაინც, რომლის წიგნის ტირაჟიც 10 000-ია, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენთან ბესტსელერიც არსებობს და მასზე გამოცხადებული ნომინაციაც. ჩემთვის უცნობია წიგნი, რომლის ტირაჟიც 25 000-ზე მეტია.

25 000 ტირაჟით ვრცელდება ხოლმე მაგალითად ჭაბუა ამირეჯიბის, გოდერძი ჩოხელის წიგნები. მე არ ვიცი, ავა მოჩილაძის წიგნების ტირაჟი, მაგრამ სხვათა შორის უნდა გითხრათ, რომ ის თემატურად და სტილისტურად საკმაოდ ადვილად „მოსანებლებელი“ მწერალია და დიდ ქვეყანაში მასობრივი კულტურის ნიმუშთა რიგში მოხვედებოდა.

ჩვენთან ძალიან პოპულარულია პაოლო კოელიო. მე არ ვიცი, რა არ უნდა გქონდეს ნაკითხული, რომ ეს ნაკითხო. მე ვიცი ხალხი, რომელიც ასეთ ლიტერატურაზე იზრდება. მაგრამ იცით რაშია საქმე? ჯერ კიდევ ცოცხალი რამდენიმე მწერალი, რომელიც ასაკის მიუხედავად ბევრად უფრო თანამედროვეა. მოკლედ, როგორც გამოიღონოთ ხოლმე ძველად მწერლები გოგოლის „შინელიდან“, ისე გამოიპარებიან ხოლმე ახლა ბორხესის პონოვდან.



„თავსილი“

გამოცველა ქართველ ებრაელთა ტრადიციული ზეპირი თარგმანების შესახებ

ალსანიშნია ის ფაქტი, რომ სექტემბრისთვის ეუდასა და სამარიის ავადმყოფი კოლეჯის პროფესორის, იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტის ტრუმენის სახელობის „მშვიდობის პრობლემათა ინსტიტუტის“ მეცნიერ-თანამშრომლის, ასევე რადიო „ქოლ ისრაელის“ ქართულენოვან გადაცემათა რედაქციის ხელმძღვანელის რუბენ ენუქაშვილის ავტორობით გამოვა წიგნი – ქართველ ებრაელთა შორის არსებული მოსეს ხუთნიგნულის ზეპირი ტრადიციული თარგმანის ტექსტი.

გამოსაცემად მზადდება ასევე მეორე წიგნი, სახელწოდებით „თავსილი“ – გამოცველა ქართველ ებრაელთა ტრადიციული ზეპირი თარგმანების შესახებ. „თავსილი“ ნიშნავს კომენტარს, განმარტებას. ეს სახელწოდება მიღებულია, როგორც ჩანს, მოსეს ხუთნიგნულის არაბული თარგმანის მიხედვით, რომელსაც ერქვა „თავსირ“. – ეს თარგმანი მე-10 საუკუნეში, ძირითადად, ებრაელებისთვის შესრულდა.

„ჩვენი მიზანია, ამ თარგმანის შესახებ ვაცნობოთ მთელ სამეცნიერო და კულტურულ საზოგადოებას. აქამდე ეს საერთოდ არ იყო ცნობილი და, ბუნებრივია, რომ მის შესწავლას მრავალი თვალსაზრისით წარუვადი მნიშვნელობა აქვს – ერთი ახალი ფურცელი შემატება ამ კულტურული და მეცნიერული კვლევის სფეროს. ამის შემდეგ კიდევ ბევრი რამ შეიძლება გამოვლინდეს.“ – აღნიშნა ჩვენთან საუბარში რუბენ ენუქაშვილმა.

სიმპოზიუმზე მან სწორედ ამ წიგნების გამოცემის მნიშვნელობასა და ბიბლიური წიგნების ქართული თარგმანების პოპულარიზაციაზე ისაუბრა.



გალაკტიონის ლექსები ინგლისურად

ახალგაზრდა ამერიკელი ქრისტიანი გალაკტიონ ტაბიძის ლექსებს ინგლისურ ენაზე თარგმნის. მისი მიზანია, ამერიკის გალაკტიონის შემოქმედება გააცნოს. მისი რამდენიმე თარგმანი უკვე დაიბეჭდა გაზეთში „Georgian today“. ქართული ლიტერატურის შესწავლისა და მისი პოპულარიზაციის თვალსაზრისით ქრისტიანი საქართველოში აპირებს სწავლის გაგრძელებას. მას სურს ქართული ლიტერატურით სხვებზე მოხიბლოს. ახალგაზრდა მთარგმნელი გალაკტიონის ლექსების პატარა კრებულის გამოცემასაც აპირებს. ქრისტიანი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ეგიდით გამართულ სიმპოზიუმს დაესწრო და თავის მოხსენებაში გალაკტიონ ტაბიძის შემოქმედებაში პოეზიის ქართულიდან ინგლისურად თარგმნის პრობლემატიკაზე ისაუბრა.

მკითხველს ვთავაზობთ ქრისტიანის მიერ ნათარგმნ ლექსს – „ქარი ქრის“

Sweeping Wind

Sweeping wind, sweeping wind, sweeping wind,
Brushing leaves, rushing up, gusting through...
Rows of trees, whole armies, bow and bend
Where are you, where are you, where are you?
First it rains, then it snows, then it snows.
Where you are, I'll never know, never know!
Everywhere, haunting me, is your face.
Every day, all the time, every place...
An endless sky sifts its misty musings in
Sweeping wind, sweeping wind, sweeping wind...

უნივერსიტეტში

მემორანდუმი
ფიზიოლოგიის ინსტიტუტთან



24 მარტს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და ივანე ბერიტაშვილის სახელობის ფიზიოლოგიის ინსტიტუტს შორის ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა.

მემორანდუმი ითვალისწინებს ბიოლოგიისა და ბიომედიცინა მეცნიერების განვითარებას, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის ეტაპზე სტუდენტების, დოქტორანტურის დონეზე კი სათანადო პროგრამებისა და მაღალკვალიფიკაციური დოქტორანტების მომზადებას. კვლევითი სამუშაოებისათვის ინსტიტუტი უნივერსიტეტს სთავაზობს თავის სამეცნიერო-ექსპერიმენტული ბაზის გამოყენებას, ხელს უწყობს სახელმძღვანელოების, სამეცნიერო შრომების, კრებულების და მონოგრაფიების გამოცემას.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა გიორგი ხუბუაშვილმა თავის გამოსვლაში ხაზი გაუსვა ქართული ფიზიოლოგიური სკოლის დიდ ტრადიციებსა და მის მნიშვნელობას. მისი თქმით, ამ სკოლის მეცნიერები მრავლად არიან წარმოდგენილი უნივერსიტეტში: „უნივერსიტეტს კვლავ აქვს მათი თანადგომის იმედი. გრანტების მოპოვებისა და უცხოეთთან ურთიერთთანამშრომლობის მიმართულებით უნივერსიტეტისა და ფიზიოლოგიის ინსტიტუტის ერთობლივი მუშაობა მნიშვნელოვნად გაზარდის ნებისმიერი განაცხადის წარმატების შანსს. ამ მხრივ, ფიზიოლოგიების ენაზე რომ ვთქვათ, უნივერსიტეტის სახით განიზრდება ფიზიოლოგიის ინსტიტუტის სასიცოცხლო არეალი“, – განაცხადა რექტორმა.

თავის მხრივ ფიზიოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა მერაბ ცაგარელმა ბაკალავრიატის დონეზე სასწავლო პროგრამების პრევენტივითა და მონაწილეობის სურვილი გამოთქვა. მაგისტრებისა და დოქტორანტების კვალიფიკაციის ასამაღლებლად კი რექტორს კონკრეტული გეგმა შესთავაზა.

თსუს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური

ჩვენ არ გვინდა რევოლუსია,
მძაფრი აქცენტები კი უნდა
დავსვათ

პურისია ბაროშვილი

ზურაბ რთველიაშვილის გაცნობიერებული არ არის, ის, უბრალოდ, ნამდვილი ქართველი! – ასე თვლიან მისი პოეზიის მოყვარულები და მეგობრები. პოეტი, რომელიც სიტყვებს, როგორც ნაღებს ისე აფეთქებს, თავს ნამდვილ არტისტად მიიჩნევს. არტისტს კი უფლება აქვს ნებისმიერი ფორმით გაუზიაროს საზოგადოებას პირადი შემოქმედებით გამოცდილება. უფლება აქვს იყოს რეკლამისმოყვარე და იღებდეს აქტიურ მონაწილეობას ამბოხებაში, რათა შემდეგ ახალი ენერჯით დატუმბული სწრაფად დაუბრუნდეს საწყის პოზიციას.

„ანარქი“ პოეტი მხოლოდ ლექსებით არ გამოხატავს თავის მოქალაქეობრივ პოზიციას. სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ შეხვედრაზე, რომელიც „სტუდენტთა დემოკრატიული ლიგის“ ინიციატივით გაიმართა, მან დამსწრე საზოგადოებას ღირსების და თავისუფლების დაცვისკენ მოუწოდა. ცნობილია, რომ ზურაბ რთველიაშვილი „თანასწორობის ინსტიტუტის“ წევრებთან ერთად მონაწილეობდა მშვიდობიან საპროტესტო აქციებში და შიმშილობდა უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტის ჯაბა ჯიშარიანის გათავისუფლების და გიორგი ზერეკიძის სასჯელის შესუსტების მოთხოვნით. მისი თქმით, ხელისუფლებასთან დაპირისპირება თვითმზანი არ არის, მაგრამ ბოლო პერიოდში მიმდინარე სასამართლო პროცესებმა საზოგადოების გაღიზიანება გამოიწვია.

„მე არავის არ მოუწოდებ კანონის დარღვევისკენ, პირიქით, ყველას ვურჩევ, კანონი დაიცავს.“



ჩვენ, პირველ რიგში, ქართველები ვართ, შემდეგ ევროპელები. ევროპამდე ჯერ კიდევ შორი გზაა გასავლელი, სამაგიეროდ, ახლო პოზიციამდე, ამიტომაც მოვინდობ თქვენთან. რთულია, იყო ადამიანი და პოეტი. ჭეშმარიტი ხელოვანი სიმართლის დასაცავად სულ მზად უნდა იყოს, ქვეყნის სამსახურისთვის უნდა იტანჯოს“, – განუცხადა მან სტუდენტებს.

სტუდენტებთან შეხვედრის მიზანი პოლიტიკაზე საუბარი არც ყოფილა. „უჩვეულოდ მგრძობიარე მედიაციისტი“ მისთვის დამახასიათებელი ინტონაციით და გატაცებით კითხულობდა ლექსებს: „კანონი არა აქვს ჩემი ჩაცმის წესებს, გავყავი ფეხები პატარა ქუჩაში, მათ, ვისაც არ ესმის, ვაპასუხო ლექსებით“, „მარჯვენა ის მზე, ტყვიას რომ ისვრის, მარჯვენა ის მზე, რომ ავცდებ მიზანს...“

ზურა რთველიაშვილის მხრივ, რომ შეისმინო, უნდა შეიმეცნო, გააცნობიერო ის ღირებულებები, რომელიც საზოგადოებისთვის ძვირფასია, თავისუფლების მოპოვება კი მხოლოდ დიდი სიყვარულით შეიძლება. ახალგაზრდებთან ის ისეთივე ლაღი და გულანდობილი იყო, როგორც თავის პოეზიაში.

– მე მგონი, არანაირი რევოლუსია აღარ გეჭირდება, მაგრამ მძაფრი აქცენტები უნდა დაგვთავაზო – რა ხდება იმ სოციალურ ვითარებაში, რომელშიც ვცხოვრობთ. ჩვენ არ უნდა ვიყოთ მათხოვრის პოზიციაში. უნდა ვიყოთ მომთხროვნეები და არა ვასაღები. მე პატივს ვცემ პიროვნებებს და არა პოლიტიკოსებს, რომლებსაც არ ვენდობი ანტიკური ხანიდან დღემდე! – განაცხადა მოშიშმულე პოეტმა.

„მისი ლირიკული „მე“ არის არა განმარტებული მონოლოგისტი, არამედ სტიქიურად შექმნილ ტრიბუნაზე აჭრილი და გამოფხიზლებისკენ, რუტინის დარღვევისკენ მონოდეტული ტრიბუნა“, – აღნიშნავს ხელოვნებათმცოდნე დავით ანდრიასე „ანარქისტ“ პოეტზე. მის პიროვნებას, როგორც ზურაბ რთველიაშვილი ამბობს, თან ახლავს ლექსი, როგორც ჩრდილი – ხეს, ანგელოზს – ფრთები, ფეხს – მოძრაობა... მისი ხედავს პორნოგრაფიას სწავლება, მელოდიასაც თვითონ უკვე თავს: „დავარტყი კლავიშზე ძლიერი თითები, ვარ ამ მელოდიის მთავარი დამკვეთი...“

ზურაბ რთველიაშვილის ლექსების კრებულს „ანარქი“ ჰქვია და მათ, ვისაც მისი არ ესმის, ლექსებით ელაპარაკება. მისთვის მუდმივი ღირებულება მამულის ერთგულება და სიყვარულია, რომელსაც საზღვრები არა აქვს. „მე, მუდმივი ადამიანი, ვალი-არებ, მე, მუდმივი ჭეშმარიტება, შევიცავ ყველა დროს...“

რა... სად... როდის...

● **ინდოეთისა** და ჩინეთის ხელისუფლება შიმდალის მთებში ცინულის დნობამ სერიოზულად შეაშფოთა. გლობალური დათბობის შედეგების გამოსაკვლევად მათ ერთობლივი ექსპედიციის გაგზავნა გადაწყვიტეს. ეს გადაწყვეტილება, ამ ცოტა ხნის წინ, აზიის განვითარების ბანკის მიერ გამოქვეყნებულმა ანგარიშმა განაპირობა. ანგარიშის ავტორების აზრით, უახლოესი ოცდასუთი წლის მანძილზე, გამონახობლქვის რაოდენობა აზიაში სამჯერ გაიზრდება. ეს კლიმატური ცვლილებები ტრანსპორტთან დაკავშირებს და საზოგადოება გააფრთხილებს, რომ შაერის დაბინძურება და საავტომობილო საცობები საქონლის გადაზიდვასაც შეაფერხებს და რომ ამით ეკონომიკაც დაზარალდება. ეს ორი ქვეყანა კი — ინდოეთი და ჩინეთი — აზიის ატმოსფეროს ყველაზე მეტად აბინძურებს.



მეცნიერებთა და ალბინისტების დაკომპლექტებული ექსპედიცია შიმდალის ცინულოვან მთებში ორი დიდი მდინარის სათავეს შეისწავლის. მეცნიერები შიშობენ, რომ ცინულის დნობა ჯერ წყალდიდობებს, შემდეგ კი მდინარეების დაშრობას გამოიწვევს, ეს კი, უდავოდ, ეკოლოგიური კატასტროფა იქნება.




● **პარიზის** სიმბოლო, ეიფელის კოშკი, სულ ცოტა ხნის წინ, მოულოდნელად სიბნელეში ჩაიხიდა. დირექციის განმარტებით ოცი ათასი ნათურა ხუთი წუთით გამორთეს. კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ეს ნათურები უამრავ ელექტროენერგიას ხარჯავს, თუმცა არ დაუკონკრეტებია ხუთწუთიანი გამორთვით რამდენი ენერჯის ეკონომია შეძლეს. სამაგიეროდ, არ დაუმაღლავს, რომ ეს ნაბიჯი გარემოს დაცვის ფრანგული ფგუფების თხოვნით გადადგეს. მათ კი, თავის მხრივ, უმთავრესი კოშკის ჩაბნელებით, მსოფლიოში ელექტროენერჯის ჭარბი მოხმარების პრობლემისკენ საზოგადოების ყურადღების მიქცევა სურდათ.

● **დანიის** მედიკოსებმა გამოკვლევებით დაადგინეს, რომ ვიტამინები, რომელსაც მილიონობით ადამიანი იღებს, ჯანმრთელობისთვის სასარგებლო კი არა, მავნებელია. სამოცდარვა ექსპერიმენტმა, რომელშიც ოთხი მილიონი ადამიანი იღებდა მონანილიობას, გამოავლინა, რომ ბეტაკაროტინი და ვიტამინები A და E სიკვდილიანობის რისკს ხუთი პროცენტით ზრდის. მედიკოსები დაბეჯითებით აცხადებენ, რომ ადამიანმა ვიტამინები ნატურალური ხილისა და ბოსტნეულის საშუალებით უნდა მიიღოს და არა სინთეტიკური დანამატების გზით.



ეს გამოკვლევა კოპენჰაგენის უნივერსიტეტის ჰოსპიტალში ჩატარდა. ამერიკის სამედიცინო ასოციაციის ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში დანიის მედიკოსები აღნიშნავენ, რომ ასეთ კვებით დანამატებს — ანტიოქსიდანტებს — უამრავი ადამიანი იყენებს, აქედან გამომდინარე, საზოგადოების ჯანმრთელობას სერიოზული საფრთხე ემუქრება.



● **პირმის** მეცნიერებმა, ქარვის წვეთში, რომელიც ტრადიციულ ბუნებრივ სარკოფაგად ითვლება, ასი მილიონი წლის ფუტკარი აღმოაჩინეს. ეს წინასტორიული მწერი ყველა ადრე აღმოჩენილ ფუტკარზე დაახლოებით 35 — 45 მილიონი წლით უფროსია. სპეციალისტების დასკვნით, მას შვიკის თვისებებიც ახასიათებდა, რაზეც მეტყველებს წვრილი უკანა ფეხები. ეს კი ფუტკრის ევოლუციის თეორიას ადასტურებს.

ფუტკარი შესანიშნავადაა შენახული. იგი ზომით ძალიან პატარაა, რაც წარმოშობს ჰიპოთეზას, რომ პირველი ყვავილებიც ძალიან პატარა ზომისა იყვნენ.



● **დიდ ბრიტანეთში** ორი გიგანტური ქარის ელექტროსადგური შენდება. ერთი მათგანი ესკის საგრაფოში, მდინარე ტემზაზე, მეორე კი კენტის საგრაფოს სანაპიროდან ოცდაათუთმეტი კილომეტრის დაშორებით, შუა ზღვაში აიგება. ერთ გიგანტს 100, ხოლო მეორეს 341 ტურბინა ექნება და მათ მიერ გამოშვებული ეკოლოგიური ელექტროენერჯია — მილიონ ოჯახს მოამარაგებს.

ქარის ელექტროსადგურების აშენების იდეაზე დიდ ბრიტანეთში კარგა ხანია მსჯელობენ, მაგრამ ტერიტორიები ვერა და ვერ გამოიძენა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქვეყანა მინის ფართის ნაკლებობას განიცდის, თანაც, მოსახლეობის ერთ ნაწილს სმაური აღშფოთებდა, მეორე ნაწილი კი მას ფრინველებისთვის საშიშ მოვლენად მიიჩნევდა. ამჯერად, ორ მილიარდ ფუნტად შეფასებული პროექტის მშენებლობა დაიწყო. ხელისუფლება დიდ იმედს ამყარებს, რომ 2020 წლისთვის ქვეყნის 20% ეკოლოგიურად სუფთა ელექტროენერჯით მომარაგდება.

● **ევროპარლამენტმა** ქიმიკატების შესახებ ახალი კანონი მიიღო, რომლის თანახმად, კომპანიების მიერ მოხმარებული ქიმიკატები მკაცრად გაკონტროლდება, თანაც კომპანიებს მოუწევთ იმ ქიმიკატების უვნებლობის დამტკიცებაც, რომელსაც ათწლეულების მანძილზე იყენებდნენ. ეს კანონი არც „მწვანეებს“ მოეწონათ და არც ბიზნესმენებს.

საქმიანმა წრეებმა ჩათვალეს, რომ კანონი მეტისმეტად მკაცრია. მცირე ბიზნესის ფედერაციამ დახმარებაც კი ითხოვა, რადგან თვლიან, რომ ეს გადაწყვეტილება ყველაზე მეტად მათ დაზარალებს. „მწვანეებმა“, კი პირიქით განაცხადეს, კანონი მეტისმეტად ლიბერალია, და მისი კიდევ უფრო გამკაცრება მოითხოვეს.



● **ანტარქტიკის** ბნელი და ცივი სიღრმეების შესწავლა მეცნიერ-ნატურალისტთა ყურადღებას კარგა ხანია იქცევდა, მაგრამ ცინულოვანი წყლის მასა მყინთავებს თავის სიღრმეში არ უშვებდა. და აი, ამჯერად, მანქანა შეძლებს იმას, რაც ადამიანმა ვერ შეძლო. ბრიტანელმა მეცნიერებმა სპეციალური რობოტ-მყინთავი „isis“ შექმნეს, რომლის დახმარებითაც შორეული დისტანციიდან შეძლებენ ცინულის სტრუქტურის გამოკვლევას, სიცოცხლის უცნობი ფორმების აღმოჩენას და 6500 მეტრის სიღრმეზე მთლიანად ცინულოვანი სამყაროს შესწავლას.



პროექტის ავტორის, პიტერ მესონის განცხადებით, აპარატი სპეციალურადაა გათვლილი იმისთვის, რომ წყლის ვეებერთელა მასის წნევას გაუძლოს. გარდა ამისა, მას სინათლის ძლიერი წყარო აქვს და ვიდეო კამერებითა და ჰიდროლოკატორებითაა აღჭურვილი.

● **ლონდონის** ერთერთ კლინიკაში — სენტ-ტომასში უცნაური გამოფენა მოეწყო. კლინიკის მეცნიერებმა, დაქორწინებულ წყვილებს საკუთარი ძვლებისაგან შექმნილი ბეჭდების გაცვლა შესთავაზეს. მოგესხნებათ, უჯრედების ზრდა რთული და ხანგრძლივი პროცესია. ძვლის უჯრედს სიბრძნის კბილიდან იღებენ, შემდეგ კი სპეციალურ მკვებავ გარემოში „ზრდიან“. საქმეში, მეცნიერების გარდა, მხატვრებიც ჩაერთვნენ. ისინი ძვლებს სხვადასხვა სასურველ ფორმებს აძლევენ. მათი განცხადებით ეს პირველი ნაბიჯია, მომავალში კი იუველირია უფრო რთული სამკაულების შექმნასაც შეძლებს.

პირველი ბეჭდები ახლად დაქორწინებულებმა ჰარიეტ ჰარისონმა და მეტ ჰარისონმა მიიღეს. ბედნიერი სახიძოს განცხადებით, იგი სპილოს ძვლისგან დამზადებულ სამკაულს ჩამოგავს, მაგრამ, მიიჩნევს, რომ უფრო ეთიკურია.



● **ინდოეთმა** ჰაკერების რაოდენობით მსოფლიოში პირველი ადგილი დაიკავა. ამ ქვეყნის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის განცხადებით, ერთი წლის მანძილზე შეძლეს 752 საიტის გატეხვა. ლაბორატორიის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი უსაყვარლესი მეთოდი dos-შეტევა ანუ სერვერის ზედმეტად დატვირთვა, რაც მუშაობას აფერხებს, მათ კი სერვერის გვერდის ავლით, საკუთარი პროგრამების შესრულების საშუალებას აძლევს. ყველაზე გავრცელებული კომპიუტერული ვირუსი, ეგრეთ წოდებული jeefo აღმოჩნდა.



საპამის რაოდენობით კვლავ ამერიკის შეერთებული შტატები ლიდერობს. ინდოეთში კი — ერთი წლის მანძილზე მოსულ გზავნილთა 68% სპამი აღმოჩნდა.

● **სორბატის** დედაქალაქ ზაგრებში, ვალუტის გამცველი პუნქტის მოლარე ქალბატონმა მძარცველი სიცილით დააფრთხო. მძარცველი პუნქტში დღისით შევიდა, ქალს რევოლვერი მიუშვირა და ფული მოთხოვა. ქალბატონმა კი ისეთი ხარხარი ატეხა, რომ თავზარდაცემულმა ქურდმა კისრისტებით მოუსვა. როცა შემთხვევის ადგილას პოლიცია მივიდა, მოძალადეს კვალიც კი არსად ჩანდა. გაოგნებულმა სამართალდამცველებმა ვერ წარმოიდგინეს, ისე როგორ შეიძლებოდა გაცინა ამ ქალბატონს, რომ მძარცველი გაქცეულიყო.



მასალა მოამზადა მანანა მიქელაძემ

საკონტაქტო ტელეფონები:

| | |
|--|--------------------|
| რექტორის მისაღები | 22-51-07 |
| ადმინისტრაციის ხელმძღვანელი | 22-35-01 |
| საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური | 22-32-91 |
| საერთო განყოფილება (კანცელარია) | 23-39-16; 22-59-44 |
| სასწავლო პროცესის მართვისა და სტუდენტთა რეგისტრაციის სამსახური | 22-78-99; 22-54-50 |
| საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტი | 22-56-79 |
| ადამიანური რესურსების მართვის სამსახური | 22-36-19 |
| საფინანსო სამსახური | 91-24-95 |
| სტუდენტური თვითმმართველობა | 25-12-38 |
| სამედიცინო სამსახური | 29-08-42 |
| დაცვისა და უსაფრთხოების სამსახური | 25-08-13; 25-36-18 |
| ფაკულტეტების დეკანატები: | |
| ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი | 29-08-07 |
| ჰუმანიტარული ფაკულტეტი | 22-21-08 |
| სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 29-05-94 |
| ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი | 30-45-36 |
| იურიდიული ფაკულტეტი | 22-37-10 |
| მედიცინის ფაკულტეტი | 94-34-54 |

რედაქტორი ნინო კაკულია
ტექნიკური რედაქტორი გივი შეყილაძე
სტილისტი, კორექტორი მანანა ჯურხაძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა თამარ ქავჭავაძე



რედაქციის მისამართი:
თბილისი
 გია მაჩაბელი, ზაზა ფირალიშვილი, ვახტანგ გურული, ნინო ჩიხლაძე, ნოდარ ხადური
 თემურ ნადარეიშვილი

მისამართი:
თბილისი **ქავჭავაძის გამზ.1**
22 10 34
www.tsu.ge
@ newspaper@tsu.ge